# საქართველოს რესპუბლიკა

გამოდის 1918 წლიდან ● ფასი 1,5 ლარი

№11 (10014) 2026 წლის 28 იანვარი, ოთხშაბათი





სამხრეთ კავკასიის ახალი რეალობა და საქართველოს როლის შეცვლა...

იხ. 3 გვ.

# რატომ დუმს ვაშინგტონი?!



## ჯოკონდას ვარდისფერი ღიმილის დაძლევა

4

ლადო პაპავა — 70

## არ ვახსოვარ, დამივიწყეს!



ჯემალ ყაველაშვილი

## «რატომ კარგი აგიგია»?!

5



2

## ოჰ, ეს გამრყვნელი ტენდერები!!!

ღუდუშაურების და მათნაირთა ღორმუცელობა!



## უმეცარი მზია ამაღლობელის მიერ გაწნული სილის იურიდიულ-ფსიქოლოგიური ანალიზი

6

## 1957 წელი, კიშტიმის კატასტროფა



11

სრულიად საიდუმლოდ!

## ნოვოჩერკასკის სასაკლაო



## ჩარგალში საქართველოს ეროვნული გმირის მიხა ხელაშვილის ხსოვნის დღე აღნიშნეს

12

ვოლფ მესინგის ფენომენი

## ეს ბოდვა კი არა, სინამდვილეა!



7

## მესინგის წინასწარმეტყველება: 2026 წლის 26 თებერვალი და 7 სახელმწიფოს ბედი

ვებ.გვერდი: WWW.SAK.GE ელ.ფოსტა: SAK@SAK.GE




# ოჰ, ეს გამრყვნელი ტენდერები!!!

## ჯანდაცვის მინისტრის ყოფილი მოადგილე ილია ღუდუშაური დააკავეს!

გავრცელებული ინფორმაციით, ის ამ დროისთვის ზაჰესის იზოლატორში იმყოფება. ღუდუშაური ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის მოადგილის თანამდებობას 2022 წლიდან 2024 წლის მარტამდე იკავებდა. ის მაშინდელი მინისტრის **ზურაბ აზარაშვილის** მოადგილე იყო.

ილია ღუდუშაური ჯანდაცვის სამინისტროში საფინანსო-ეკონომიკურ მიმართულებას ხელმძღვანელობდა. უწყების ინფორმაციით, დაკავებული პირი ამავდროულად აღნიშნული სამინისტროს შესყიდვების სატენდერო კომისიის თავმჯდომარე იყო.

**გამოძიებით დადგინდა, რომ 2022 წლის 27 სექტემბერს საქართველოს დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრომ გამოაცხადა ტენდერი სასწრაფო სამედიცინო დახმარების ავტოსატრანსპორტო საშუალებების შესყიდვაზე. ტენდერის საბოლოო ბენეფიციარი იყო სსიპ – საგანგებო სიტუაციების კოორდინაციისა და გადაუდებელი დახმარების ცენტრი. ტენდერში მონაწილეობა მიიღო სამმა კომპანიამ, ხოლო გამარჯვებულად გამოვლინდა ერთ-ერთი კომპანია, რომელმაც ყველაზე დაბალი ფასი — 8 525 876 ლარი შესთავაზა.**

**აღნიშნული ტენდერი შეწყდა მინისტრის მოადგილის ი. ღუდუშაურის უკანონო დავალებით. მან ბოროტად გამოიყენა სამსახურებრივი უფლებამოსილება სხვა კომპანიისთვის უპირატესობის მინიჭების მიზნით. 2023 წლის 10 მაისს, მისი მითითებით, გამოცხადდა ახალი ტენდერი, რომლის პირობები მორგებული იყო ერთ კონკრეტულ პრეტენდენტზე, რის შედეგადაც სხვა კომპანიებმა მონაწილეობა ვერ მიიღეს.**

**წინასწარ შერჩეულ კომპანიას სამინისტრომ უსაფუძვლოდ გადაუხადა 2 138 196 ლარი, რითაც არსებითად დაირღვა სახელმწიფოს კანონიერი ინტერესები. გამოძიება მიმდინარეობს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 332-ე მუხლის მე-2 ნაწილით. კორუფციულ დანაშაულებში მონაწილე პირთა გამოვლენის, მათი პასუხისგებაში მიცემისა და კორუფციული ფაქტების მაქსიმალური პრევენციის მიზნით, ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახური ინტენსიურ რეჟიმში აგრძელებს ოპერატიულ და საგამოძიებო მოქმედებებს,** – განაცხადა ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის სამმართველოს უფროსის მოადგილე **ბუბა თავბერიძემ.**

აღსანიშნავია ისიც, რომ 2025 წლის 27 ივლისს ილია ღუდუშაურის ძმა, თავდაცვის სამინისტროს შესყიდვების დეპარტამენტის ყოფილი უფროსი **ვლადიმერ ღუდუშაური** დააკავეს. მასთან ერთად დააკავეს თავდაცვის ყოფილი მინისტრის **ჯუანშერ ბურჭულაძის** ცოლისძმა **ვასილ მხეიძე** და ბურჭულაძის ყოფილი მოადგილე **გიორგი ხაინდრავა**, მათ ბრალად თავდაცვის სამინისტროს კუთვნილი 1 333 728 ლარის გაფლანგვა ედებათ. სასამართლომ ვლადიმერ ღუდუშაურს აღკვეთის ღონისძიების სახით 10 000-ლარიანი გირაო შეუფარდა.

# უკრაინამ საქართველოში ახალი ელჩი დანიშნა

**უკრაინის პრეზიდენტმა ვოლოდიმირ ზელენსკიმ საქართველოში უკრაინის ახალი ელჩის დანიშვნის შესახებ განკარგულებას ხელი მოაწერა.**



განკარგულება, რომელიც 26 იანვარს გამოიცა, უკრაინის პრეზიდენტის ოფიციალურ ვებგვერდზეა გამოქვეყნებული.

დოკუმენტის თანახმად, საქართველოში უკრაინის საგანგებო და სრულუფლებიან ელჩად **მიხაილო ბროდოვიჩი** დაინიშნა.

უკრაინული საინფორმაციო წყაროების მონაცემებით, ბროდოვიჩი უკრაინის საგარეო საქმეთა სამინისტროში 1996 წლიდან მუშაობს; იყო უკრაინის კონსული სტამბოლში, გენერალური კონსული – კრაკოვში, ხოლო 2015-2022 წლებში – უკრაინის სრულუფლებიანი ელჩი სლოვენიაში.

# შალვა პაპუაშვილი: ვერავითარი გამართლება ვერ ექნებათ შუღლის წამქეზებლებს




**– ჩვენ ვუერთდებით მთელ ცივილიზებულ სამყაროს, რომლისთვისაც ეს დღე წარმოადგენს დანაშაულებრივ მწვერვალს, რაც კი მეოცე საუკუნის მანძილზე კაცობრიობაში მომხდარა,** – განაცხადა საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე **შალვა პაპუაშვილმა.**

**„დღეს ჩვენ აღვნიშნავთ ჰოლოკოსტის მსხვერპლთა მოსახსენიებელ დღეს და ვუერთდებით მთელ ცივილიზებულ სამყაროს, რომლისთვისაც ეს დღე წარმოადგენს დანაშაულებრივ მწვერვალს, რაც კი მეოცე საუკუნის მანძილზე კაცობრიობაში მომხდარა.**

**ექვსი მილიონი ებრაელის განადგურება არის წარუშლელი ტრაგედია, რომელმაც შეძრა ევროპა და სამუდამოდ დაამძიმა კაცობრიობის კოლექტიური ცნობიერება. ეს არის ხსოვნა იმ უდანაშაულო ადამიანებისა, რომლებიც მხოლოდ იმიტომ იქცნენ განადგურების სამიზნედ, რომ ეკუთვნოდნენ კონკრეტულ ეთნიკურ ჯგუფს. ეს იყო ადამიანობის უარყოფა, სიცოცხლის გაუფასურება და ცივილიზაციის თვითგანადგურების მცდელობა. ვერავითარი პოლიტიკური კონიუნქტურა ვერ გადაფარავს ტკივილს, რაც მიადგა ებრაელ ერს, ოჯახებს და ცივილიზაციას. სწორედ ამიტომ, ჩვენ ყოველ წელს აღვნიშნავთ გენოციდით დაღუპულთა ხსოვნას და ვიხსენებთ როგორც მსხვერპლს და მის მასშტაბს, ასევე იმ გარემოებებს, რამაც დაუშვა მსგავსი სისასტიკით ამგვარი ტრაგედიის მოხდენა.**

**ჩვენ ვცხოვრობთ სწრაფად ცვალებად და დინამიკურ სამყაროში. თაობები იცვლება, იცვლება მეხსიერებაც, ყოველდღიურობა ფარავს წარსულის იარებს. ისტორია იკუმშება, გაკვეთილები დავიწყებას ეძლევა, ახალ თაობებს უჭირთ წარსულის არსობრივად გააზრება. ტრაგედია ექცევა ერთ სიტყვაში, ერთ ფრაზაში, კარგავს მის მოცულობას და ინსტრუმენტალიზმდება მიმდინარე პოლიტიკური დისკურსის საჭიროებების მიხედვით.**

**სწორედ ამიტომ, ჰოლოკოსტის ხსოვნის დღე არ უნდა იყოს მხოლოდ სიმბოლური ჟესტი. ეს უნდა იყოს ხმამაღალი შეხსენებისა და მკაფიო განაცხადის მომენტი, როდესაც ზუსტად და კონკრეტული სახელებით აღვწერთ და ვიტყვით რა მოხდა, რატომ მოხდა, რამ დაუშვა ეს ბოროტება და რა შედეგები მოუტანა კაცობრიობას.**

**წარსულის მსხვერპლზე ლაპარაკი მნიშვნელოვანია დღესაც, რადგანაც ნათლად ვხედავთ მთელ რიგ მოვლენებს, რომელიც გვახსენებს იმ ეპოქას, როდესაც ამპარტავნებამ, სიძულვილმა, ძალმომრეობამ, შურისძიებამ და განსხვავებულის დემონიზებამ წარმოშვა მთელი ერის განადგურების მეთოდური და დახვეწილი მანქანა, რომლის შესაჩერებლადაც ზღვა სისხლი დაიღვარა,“** – განაცხადა **შალვა პაპუაშვილმა.**

პარლამენტის თავმჯდომარემ, ასევე ისაუბრა, ქართველთა წვლილზე ფაშიზმის დამარცხებაში და აღნიშნა, რომ არავითარი სიჯანსაღე არ შეიძლება გააჩნდეს შუღლს, ზიზღს და სიძულვილს და ვერავითარი გამართლება ვერ ექნებათ მის წამქეზებლებს.

**„ამ ბოროტების დამარცხებაში მნიშვნელოვანი იყო ქართველთა წვლილიც. ჩვენ ვამაყობთ არამხოლოდ იმ გამარჯვებით, რომელიც ფაშიზმის დამარცხებამ მოგვიტანა, არამედ ვამაყობთ ჩვენი ეროვნული ცნობიერებით, რომელიც იწყნარებს განსხვავებულს, მასპინძლობს ყველანაირ სტუმარს, თანაგრძნობას იჩენს სუსტის და დაჩაგრულის მიმართ. ეს არის ღირებულებითი საფუძველი, რომელმაც ქართულ საზოგადოებას ისტორიის ურთულეს პერიოდებშიც ადამიანური სახე შეუნარჩუნა.**

**ამ კონტექსტში უნდა გავიხსენოთ, რომ 26-საუკუნოვანი ქართულ-ებრაული ურთიერთობის ტრადიციას ექვსი წლის წინ ეროვნული მნიშვნელობის არამატერიალური მემკვიდრეობის სტატუსიც კი მიენიჭა. ეს ურთიერთობა აითვლის კიდევ არაერთ საუკუნეს და ასე გაგრძელდება ყოველთვის, ვიდრე ეს სამყარო იარსებებს. ეს არის ჩვენი ხმამაღალი და დადასტურებული განაცხადი.**

**ჩვენ ვართ მკაფიო და პირდაპირი, როდესაც საქმე ეხება ღირებულებებს, ჰუმანიზმს, ტრადიციებს და იდეალებს. ჩვენ ამაზე ვლაპარაკობთ ქვეყნის შიგნითაც და ამასვე მოვუწოდებთ ქვეყნის გარეთ, ყველგან, სადაც კი უკუსვლას ვხედავთ. უნდა გვახსოვდეს, რომ სწორედ სიჩუმე, წაყრუება და დუმილი იყო მთავარი წინაპირობა, რამაც ჰოლოკოსტი შესაძლებელი გახადა.**

**ჩვენ არ უნდა შევეგუოთ სიძულვილის არცერთ გამოვლინებას, არ უნდა მოვახდინოთ მისი ნორმალიზება და არ უნდა დავიჯეროთ, რომ ზიზღი რაიმე სიკეთის მომტანია. არავითარი სიჯანსაღე არ შეიძლება გააჩნდეს შუღლს, ზიზღს, სიძულვილს და ვერავითარი გამართლება ვერ ექნებათ მის წამქეზებლებს, დამთესავებს და მისით მანიპულატორებს. სწორედ ამიტომაა გასავლები ძალიან მკაფიო წითელი ხაზები დასაშვებსა და დაუშვებელს შორის, რადგანაც იწყება მცირედით და მთავრდება გლობალურით, ითესება პატარა სარეველა და ამოდის ღვარძლის ბუჩქი, იწყება ნაპერწკლით და ვიღებთ ხანძარს. ჰოლოკოსტი სწორედ ამ გზის ყველაზე მძიმე და ტრაგიკული შეხსენებაა.**

**განხეთქილებით, ძალადობით, ომითა და უბედურებით ვერავითარი საბოლოო გადაწყვეტა ვერ მიიღწევა. ომი შობს ომს, ძალადობა – ძალადობას. სწორედ ამიტომ, ცივილიზაცია ყოველთვის უნდა იდგეს მშვიდობის მხარეს, ეძებოს ბალანსი და წონასწორობის წერტილი, ურთიერთობა კი ააგოს ურთიერთპატივისცემასა და განსხვავებულის შემწყნარებლობაზე, დასაშვებსა და დაუშვებელს შორის საზღვრების ცნობაზე. სწორედ ესაა დღეს ჩვენი მთავარი სათქმელი“,** – განაცხადა **პაპუაშვილმა.**

პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკაში გამართულ ღონისძიებაზე მოწვეულ სტუმრებს სიტყვით მიმართა საქართველოში ისრაელის სახელმწიფოს საგანგებო და სრულუფლებიანმა ელჩმა **ვალიდ აბუ ჰაიამ.**

**ჰოლოკოსტის მსხვერპლთა ხსოვნის საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილ ღონისძიებას ესწრებოდნენ: პარლამენტის წევრები, აღმასრულებელი ხელისუფლების და საქართველოში აკრედიტებული დიპლომატიური კორპუსის წარმომადგენლები და სახალხო დამცველი.**

## თინათინ რუხაძე: ჩვენ პატივს მივაგებთ ანტისემიტიზმის მსხვერპლ 6 მილიონ ებრაელს!

**კულტურის მინისტრი თინათინ რუხაძე, დავით ბააზოვის სახელობის საქართველოს ებრაელთა და ქართულ-ებრაულ ურთიერთობათა ისტორიის მუზეუმში, ჰოლოკოსტის მსხვერპლთა ხსოვნის დღის აღსანიშნავ ღონისძიებას დაესწრო,** – ინფორმაციას კულტურის სამინისტრო ავრცელებს.

**„ჰოლოკოსტი კაცობრიობის ისტორიაში ერთ-ერთი ყველაზე დიდი ტრაგედიაა. ჩვენ პატივს მივაგებთ ექვს მილიონ ებრაელს, ყველა უდანაშაულო ადამიანს, ვინც სიძულვილის, ანტისემიტიზმის მსხვერპლი გახდა. ამ დღის აღნიშვნა ჩვენთვის არა მხოლოდ წარსულის გახსენებაა, არამედ პასუხისმგებლობა – დავიცვათ ადამიანის ღირსება. ჰოლოკოსტი მუდმივი მორალური გაფრთხილებაა მთელი მსოფლიოსთვის“,** – განაცხადა თინათინ **რუხაძემ ღონისძიებაზე** სიტყვით გამოსვლისას.



# რატომ დუმს ვაშინგტონი?!

**ვაშინგტონის დუმილი საქართველოს მიმართ ხშირად აღიქმება როგორც ურთიერთობების გაუარესება, ინტერესის დაკარგვა ან კონკრეტული ხელისუფლების მიმართ უარყოფითი დამოკიდებულება. თუმცა საერთაშორისო პოლიტიკაში დუმილი ხშირად უფრო გამიზნული და შინაარსიანია, ვიდრე ხმამაღალი განცხადებები. განსაკუთრებით მაშინ, როდესაც საქმე ეხება ქვეყანას, რომელიც სტრატეგიულად მნიშვნელოვანია, მაგრამ მისი ძირითადი პრობლემები დიდი ძალების ინტერესთა კვეთაში ექცევა.**

**ბოლო პერიოდში ეს დუმილი კიდევ უფრო თვალსაჩინო გახდა. მაშინ, როდესაც შეერთებული შტატების ყურადღება კონცენტრირებულია სამხრეთ კავკასიის სხვა პროცესებზე, საქართველო ფაქტობრივად რჩება ამ დღის წესრიგის მიღმა. ეს ვითარება არც შემთხვევითია და არც მხოლოდ შიდა პოლიტიკით არის განპირობებული. იგი ასახავს უფრო ღრმა გეოპოლიტიკურ ლოგიკას, სადაც საქართველო ერთდროულად წარმოადგენს მნიშვნელოვან რესურსს და მოუხერხებელ პრობლემას.**




**სახელმწიფოს შენარჩუნება აღარ არის აბსტრაქტული ლოზუნგი. იგი გულისხმობს კონკრეტულ არჩევანს. ან საქართველო ჩამოყალიბდება როგორც ქვეყანა, სადაც პოლიტიკური ბრძოლა მიმდინარეობს წესებით და ინსტიტუტები უძლებენ ზეწოლას, ან დარჩება სივრცედ, სადაც მუდმივი არეულობა იქცევა მართვის ჩვეულ ფორმად.**

## ტრამპის საგარეო ლოგიკა და კონფლიქტის ფასი

**დონალდ ტრამპის საგარეო პოლიტიკა დაფუძნებულია არა ტრადიციულ დიპლომატიურ პრინციპებზე, არამედ გარიგებით და შედეგზე ორიენტირებულ მიდგომაზე. მისთვის საერთაშორისო ურთიერთობები ფასდება მარტივი ფორმულით: სად არის სწრაფი შედეგი, სად არის ნათელი მოგება და როგორ შეიძლება ამ შედეგის პოლიტიკურ კაპიტალად ქცევა. სწორედ ამ ლოგიკის ფარგლებში უნდა შეფასდეს ის, თუ რატომ არ იკავებს საქართველო თვალსაჩინო ადგილს მისი საგარეო დღის წესრიგში.**

კონფლიქტის მოგვარება ტრამპისთვის ღირებულია მაშინ, როდესაც შესაძლებელია მკაფიოდ თქმა, რომ საკითხი მოგვარებულია. ისეთ ვითარებაში, სადაც კონფლიქტი ფაქტობრივად დასრულებულია ან ერთმა მხარემ სამხედრო და პოლიტიკური უპირატესობა უკვე დაამტკიცა, შერიგების პროცესი გადაიქცევა დაბალფასიან ინვესტიციად მაღალი პოლიტიკური სარგებლის პირობებში. ასეთ კონფლიქტებს აქვთ მარტივი ნარატივი, სწრაფი შედეგი და მინიმალური რისკი.

საქართველოს შემთხვევაში ვითარება რადიკალურად განსხვავებულია. ქართულ-აფხაზური და ქართულ-ოსური კონფლიქტები არ არის საკითხები, რომელთა გადაწყვეტაც შესაძლებელია მოკლე ვადაში ან ერთი აქტორის ინიციატივით. მათი რეალური გასაღები კვლავ კრემლის ხელშია. ნებისმიერი სერიოზული ნაბიჯი ამ მიმართულებით მოითხოვს ან რუსეთთან შეთანხმებას, ან ღია კონფრონტაციას. ორივე სცენარი ქმნის პოლიტიკურ და სტრატეგიულ რისკებს, რომლებიც არ თავსდება ტრამპის გარიგებით ლოგიკაში.

აქ ჩნდება პარადოქსი – კონფლიქტი, რომელიც საქართველოსთვის უმძიმესი პრობლემაა, გარე მოთამაშეებისთვის შეიძლება იქცეს ინსტრუმენტად. მოუგვარებელი კონფლიქტი ქმნის ზეწოლის, შეკავებისა და მანევრის შესაძლებლობას რუსეთის მიმართ. ამ კონტექსტში კონფლიქტის შენარჩუნება ზოგჯერ უფრო მომგებიანია, ვიდრე მისი საბოლოო გადაწყვეტა. სწორედ ამიტომ ვაშინგტონის დუმილი არ ნიშნავს გულგრილობას, იგი ასახავს გააზრებულ უმოქმედობას.

## სამხრეთ კავკასიის ახალი რეალობა და საქართველოს როლის შეცვლა

**სამხრეთ კავკასია უკვე აღარ არის რეგიონი, სადაც ყველა ძირითადი კონფლიქტი გაყინულ მდგომარეობაშია. ყარაბაღის საკითხის ფაქტობრივი დასრულება და სომხეთ-აზერბაიჯანის ურთიერთობების ნორმალიზაციის პერსპექტივა ქმნის ახალ პოლიტიკურ და ეკონომიკურ რეალობას. რეგიონში იკვეთება ახალი სატრანზიტო და სავაჭრო მარშრუტები, რაც პირდაპირ ცვლის ძალთა ბალანსს. ამ პროცესში საქართველო პირველად დგას სერიოზული კონკურენციის წინაშე.**

წლების განმავლობაში ქვეყნის ერთ-ერთი მთავარი უპირატესობა იყო გეოგრაფიული მონოპოლია – იგი, პრაქტიკულად, უალტერნატივო სატრანზიტო გზას წარმოადგენდა აღმოსავლეთსა და დასავლეთს შორის. ახალი დერეფნების გახსნა ამ უპირატესობას ამცირებს და ქვეყანას ახალ რეალობაში ათავსებს, სადაც გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება არა მხოლოდ მდებარეობას, არამედ ეფექტიანობას, სანდოობას და ინსტიტუციურ გამართულობას.

ამასთან, განსხვავება საქართველოსა და მის მეზობლებს შორის მხოლოდ ინფრასტრუქტურული არ არის. სომხეთმა და აზერბაიჯანმა ერთმანეთისგან განსხვავებული გზებით დახურეს ძირითადი ტერიტორიული საკითხი. საქართველომ კი კვლავ შეინარჩუნა გაყინული კონფლიქტები, რაც ქვეყნის საერთაშორისო აღქმაზე პირდაპირ აისახება. რეგიონში, სადაც პროგნოზირებადობა და სტაბილურობა სულ უფრო ფასობს, მოუგვარებელი კონფლიქტები უდიდეს ტვირთად გვევლინება.

## ჩინეთი, შუა დერეფანი და ბალანსირების ზღვარი

**დასავლეთის მხრიდან სიფრთხილისა და დისტანციის ფონზე საქართველოს ხელისუფლება ცდილობს საკუთარი მნიშვნელობა ეკონომიკური ფუნქციით შეინარჩუნოს. ჩინეთთან სტრატეგიული პარტნიორობის ხაზგასმა და შუა დერეფნის პროექტის გააქტიურება სწორედ ამ ლოგიკას ემსახურება. ჩინეთისთვის ეს დერეფანი წარმოადგენს დამატებით ლოჯისტიკურ მარშრუტს და რუსულ მიმართულებაზე დამოკიდებულების ნაწილობრივ შემცირებას.**

საქართველოსთვის ეს თანამშრომლობა გარკვეულ ეკონომიკურ სარგებელს იძლევა, თუმცა მას აქვს მკაცრი საზღვრები. ჩინეთი არ სთავაზობს ქვეყანას უსაფრთხოების გარანტიებს და არ მონაწილეობს მისი კონფლიქტების მოგვარებაში. მისი ინტერესი პრაქტიკულია და ფუნქციური. ასეთ ვითარებაში ჩნდება საფრთხე, რომ საქართველო გადაიქცეს მხოლოდ სატრანზიტო სივრცედ პოლიტიკური წონისა და გავლენის გარეშე.

ბალანსირების პოლიტიკა მუშაობს მხოლოდ მაშინ, როდესაც ქვეყანა თავად განსაზღვრავს თამაშის წესებს. წინააღმდეგ შემთხვევაში მცდელობა იმისა, რომ არავის აქტივად არ იყოს ქვეყანა გამოყენებული, შეიძლება დასრულდეს იმით, რომ ყველა მხარე გამოიყენებს საქართველოს პოტენციალს საკუთარი ინტერესებისთვის, ხოლო თავად სახელმწიფოს გავლენა ამ პროცესებზე მინიმალური იქნება.

## დასავლეთის აქტიური ჩარევა და მუდმივი არასტაბილურობა

**სტრატეგია, ევროპის დამოკიდებულება საქართველოს მოქმედი ხელისუფლების მიმართ, ვერ აიხსნება მხოლოდ სიფრთხილით, დისტანციით ან ინსტიტუციურ შეშფოთებებზე დაფუძნებული კრიტიკით. ბოლო წლების პრაქტიკა აჩვენებს უფრო მკაფიო და პრობლემურ ტენდენციას. ეს არის პირდაპირი და ირიბი ჩართულობა შიდა პოლიტიკურ პროცესებში, რომლის მიზანიც აღარ არის მხოლოდ რეფორმების მხარდაჭერა, არამედ მოქმედი ხელისუფლების შეცვლისთვის ხელსაყრელი გარემოს შექმნა.**

ევროკავშირის ინსტიტუტები და მათთან ასოცირებული სტრუქტურები არ მალავენ, რომ ეძებენ ფინანსურ, ორგანიზაციულ და იურიდიულ მექანიზმებს იმ არასამთავრობო ორგანიზაციების მხარდასაჭერად, რომლებიც ღიად აღარ შემოიფარგლებიან სამოქალაქო კონტროლით ან პოლიტიკის კრიტიკით და საკუთარ თავს მთავრობის შეცვლის აქტიურ მონაწილეებად მოიაზრებენ. ეს პროცესი აღარ მიმდინარეობს ნეიტრალური დემოკრატიის ხელშეწყობის ლექსიკით და სულ უფრო კონფრონტაციულ ხასიათს იღებს.

ასეთი მიდგომა ქმნის მუდმივი პოლიტიკური არეულობის რისკს. ინსტიტუციური არასტაბილურობა, ქუჩის პროტესტის სისტემური წახალისება და ხელისუფლების ლეგიტიმაციის მუდმივი ეჭვქვეშ დაყენება გარდაიქმნება მუდმივი რევოლუციის ლოგიკად, სადაც პოლიტიკურ პროცესს აღარ აქვს დასრულების წერტილი. ნებისმიერი არჩევნები, გადაწყვეტილება ან ინსტიტუციური ცვლილება ავტომატურად ხდება ახალი მობილიზაციის საბაბი. მსგავსი მიდგომა მხარდაჭერილი იყო შეერთებული შტატების წინა ადმინისტრაციის პირობებშიც, როდესაც ისეთი სტრუქტურები, როგორიცაა National Endowment for Democracy და USAID, აქტიურად მუშაობდნენ იმ ქსელებთან, რომლებიც შიდა პოლიტიკური მობილიზაციის პროცესებში გადამწყვეტ როლს ასრულებდნენ. ამ პრაქტიკის არსებობა მნიშვნელოვნად შემცირდა დონალდ ტრამპის ხელისუფლებაში დაბრუნების შემდეგ, რადგან მისი ლოგიკის მიხედვით არასტაბილური სახელმწიფო ცუდი აქტივია, განსაკუთრებით მაღალი რისკის გეოპოლიტიკურ ზონაში.

## შიდა კონსოლიდაცია, როგორც სახელმწიფოს გადარჩენის წინაპირობა

**საქართველოს წინაშე დღეს მთავარი ამოცანა აღარ არის მხოლოდ საგარეო პარტნიორების ყურადღების დაბრუნება. გადამწყვეტი ხდება შიდა კონსოლიდაცია, პოლიტიკური პროცესის მინიმალური წესრიგის აღდგენა, რომლის გარეშეც ქვეყანა მუდმივი არასტაბილურობის რეჟიმში რჩება. ეს კონსოლიდაცია არ გულისხმობს აზრთა ერთიანობას ან ოპოზიციის პოლიტიკურ განეიტრალებას. იგი გულისხმობს შეთანხმებას თამაშის წესებზე და პასუხისმგებლობაზე სახელმწიფოს წინაშე.**

ამ კონტექსტში პოლიტიკური დებატების გახსნის ინიციატივა, რომელიც გამოაცხადა ირაკლი კობახიძემ, არ წარმოადგენს ფორმალურ ჟესტს ან ტაქტიკურ სვლას. იგი ასახავს იმ მიზეზებს, რის გამოც ქვეყანაში პოლიტიკური დებატები ფაქტობრივად გაუქმდა. ეს მიზეზები უკავშირდება არა მხოლოდ შიდა პოლარიზაციას, არამედ გარე გავლენით ნაკარნახევ დღის წესრიგს, რომელიც დებატს ანაცვლებდა ქუჩის მობილიზაციითა და ინსტიტუციების დელეგიტიმაციით.

ამ პროცესში განსაკუთრებული როლი შეასრულა ნიკა გვარამიამ, რომელმაც ყოფილი პროკურორის ამპლუიდან მედია მენეჯერის როლში გადაიტანა პოლიტიკის რადიკალიზაციის პრაქტიკა. დებატი ჩანაცვლდა მუდმივი კონფრონტაციით, პოლიტიკური პროცესი – მორალური განაჩენებით, ხოლო არჩევნები – რევოლუციური მოლოდინით.

დებატების გახსნის შეთავაზება სწორედ ამ პრაქტიკის დასრულების მცდელობაა.

თუ არსებული ოპოზიციური პოლიტიკური სპექტრი ამ შეთავაზებას არ მიიღებს, საზოგადოებისთვის ნათელი გახდება, რომ საქმე გვაქვს არა ალტერნატიული პოლიტიკური ხედვების მატარებელ ძალებთან, არამედ მუდმივი დესტაბილიზაციის ლოგიკაზე აგებულ ჯგუფებთან. ასეთ შემთხვევაში ბუნებრივად დგება ახალი ეტაპი, არსებული ოპოზიციური სპექტრისთვის სრული უნდობლობის გამოცხადება და ახალი ჯანსაღი პოლიტიკური ძალების ჩამოყალიბების მოთხოვნა. ეს ძალები უნდა დაეფუძნოს შიდა მხარდაჭერას, ეროვნულ ინტერესს და არ იყოს დამოკიდებული გარე დაფინანსებაზე.

## არჩევანი სახელმწიფოსა და მუდმივ არასტაბილურობას შორის

**საქართველო იმ ეტაპზე იმყოფება, როდესაც დრო არ მუშაობს მის სასარგებლოდ. საზოგადოებამ პოლიტიკურ ძალებთან სინერგიით უნდა შექმნას ქვეყნის გადარჩენის პირობები. ვაშინგტონის დუმილი, ბრიუსელის აქტიურობა და რეგიონში შეცვლილი ძალთა ბალანსი ერთი პროცესის სხვადასხვა გამოვლინებაა, სადაც პატარა სახელმწიფოს ან უნდა ჰქონდეს შიდა სიმტკიცე, ან უნდა შეეგუოს გარე მართვას.**

სახელმწიფოს შენარჩუნება აღარ არის აბსტრაქტული ლოზუნგი. იგი გულისხმობს კონკრეტულ არჩევანს. ან საქართველო ჩამოყალიბდება როგორც ქვეყანა, სადაც პოლიტიკური ბრძოლა მიმდინარეობს წესებით და ინსტიტუტები უძლებენ ზეწოლას, ან დარჩება სივრცედ, სადაც მუდმივი არეულობა იქცევა მართვის ჩვეულ ფორმად. მომავალი ეკუთვნის იმ სახელმწიფოს, რომელიც შეძლებს შიდა კონსოლიდაციას და თავს წარმოაჩენს საერთაშორისო პოლიტიკის სტრატეგიული მნიშვნელობის სუბიექტად და არა აქტივად.



**ლევან მეტონიძე,**
**სოციოლოგი.**

# ჯოკონდას ვარდისფერი ღიმილის დაძლევა

**თან გიხარია და თანაც გული გეთანადრება, როცა ხედავ: ქართველი მოწაფეები უცხოეთში მოწყობილი ცეკვა-თამაშისა და სიმღერების კონკურსებიდან შინ ხელდამშვენებული ბრუნდებიან – მეორე, მესამე, ხან პირველ ადგილსაც იკავებენ და ეგ ჩვენი ქვეყნის უღიდეს გამარჯვებად წარმოგვისახავს; იმავე დროს და პარალელურად რუსი მოწაფეები ჩინეთსა თუ იაპონიაში გამართულ საერთაშორისო კონკურსებზე ფიზიკას, ქიმიასა თუ მათემატიკაში ათი ოქროს მედლიდან რვას ეუფლებიან, ხოლო 10 წარგზავნილიდან მეცხრე და მეათე ვერცხლსა და ბრინჯაოს სჯერდებიან. არადა ყველას კარგად გაგვეგება: თანამედროვე ცხოვრებას, ყოფიერებას განსაზღვრავს არა ცეკვა-თამაში და „ტანციმანცი“, არამედ ფიზიკის, ქიმიის, ტექნიკის დარგებში მიღწევები და გარღვევები.**



## ლადო პაპავა — 70




**გონებიდან არ ამოდის მრავლისმეტყველი ფაქტი: ეს გარემოება შესანიშნავად ესმოდა ილია ჭავჭავაძეს. ამიტომაც თუ იყო, წინამძღვრიანთკარში სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმის გახსნა ცის გახსნად წარმოიდგინა და ამით აღფრთოვანებულ-ატაცებულმა გახსნის ცერემონიალზე ისეთი სიტყვა წარმოთქვა, რომლის მსგავსიც არასოდეს წარმოუთქვამს და დაუწერია – ის სიტყვა მთელი ქართული ორატორული ხელოვნების შედევრია!**

„წყეულ“ კომუნისტებს რამდენიც არ უნდა აგინო, ფაქტი ჯიუტია: საბჭოთა საქართველომ სასოფლო-სამეურნეო საქმიანობაც გააფართოვა და თანდათან გაძლიერდა ინდუსტრიულადაც: აიგო ფაბრიკები, მეტალურგიული, ავტომშენებელი, საავიაციო ქარხნები, ელსადგურები; სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესი ხალხის სამსახურში ჩადგა. ამასთანავე, შეიქმნა სკოლები და მიმართულებები, რომელთაც მსოფლიო აღიარება მოიპოვეს, ამუშავდა მეცნიერებათა აკადემია. განსაკუთრებით გაითქვეს სახელი ქართულმა ფსიქოლოგიურმა, ფიზიკურმა, მათემატიკურმა, ფილოლოგიურმა სკოლებმა... მათ შორის საჩინოდ გამოირჩა ქართული ეკონომიკური მიმართულება, რომელსაც მკვიდრი საფუძველი ჩაუყარეს საქვეყნოდ სახელგასმენილმა მოღვაწეებმა: პროფესორმა ფილიპე გოგიჩაიშვილმა და აკადემიკოსმა პაატა გუგუშვილმა, ოღონდ საბჭოურ წლებში საქმეს ერთგვარად აფერხებდა პოლიტიკურ-იდეოლოგიური ჩარჩო – მარქსისტულ-ლენინური იდეოლოგია. ეს კი რამდენადმე ზღუდავდა ეროვნული ეკონომიკური აზრის სრულფასოვან განვითარებას. გვეღირსა! მივიღეთ დამოუკიდებლობა, ოღონდ აქ კიდევ უფრო დიდი წინააღმდეგობები გადაგვეღობა წინ. ქვეყანა იზოლაციაში აღმოჩნდა, ეკონომიკურადაც გაუჭირდა. ფაქტობრივად ყველა სამეცნიერო სკოლა გაცამტვერდა. ამან, ბუნებრივია, გამოიწვია დასავლური მოწინავე სამეცნიერო წრეების ყურადღების მოდუნება საქართველოს ეკონომიკური სკოლისადმი.

ამ ვითარებაში საჭირო გახდა ჩაკეტილი სივრცის გარღვევა და ერთგვარი სამეცნიერო გმირობა. ქართულ ეკონომიკურ მეცნიერებას კიდევაც გამოუჩნდა თავისი გიორგი ანწუხელიძე. ეს გახლავთ ჩვენში კარგად ცნობილი პიროვნება, კაცური კაცობითაც და მეცნიერული ძიებებითაც გამორჩეული **ვლადიმერ პაპავა**, ეროვნული აკადემიის აკადემიკოსი, ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი. ამჟამინდელ საქართველოში ბევრი გამოჩენილი მკვლევარი ვერ შეედრება მას უცხოეთში პოპულარობით. ამისი დასტურია მისი ნარკვევების ხშირი ციტირება და დამოწმება როგორც ყოფილი საბჭოთა კავშირის ქვეყნების, ისე უცხოეთის ცნობილი ეკონომისტების მიერ. დღეს მისი ნაწარმოებები იბეჭდება არა მხოლოდ საქართველოში, არამედ აშშ-ში, ინგლისში, რუსეთში, შვედეთში, იტალიასა და სხვაგან. ასე რომ, მისი სამასი ნაშრომისა და ოცი მონოგრაფიის დიდი ნაწილი უკვე მსოფლიო სამეცნიერო ელიტისათვის კარგადაა ცნობილი.

მკვლევარს ფართო აღიარება მოუპოვა წმინდა თეორიულმა კვლევებმა (წარმოების ფაქტორები, გადასახადის თეორია, ეკონომიკაში ადამიანური ფაქტორი...), მათში წამოჭრილმა პრობლემებმა, რომლებიც იმთავითვე დიდი კამათისა და პაექრობის საგანი იყო, ასევე სტატიებმა პოსტკომუნისტური ტრანსფორმაციის შესახებ. ეს საკითხი, რა თქმა უნდა, უცხოელ მკვლევრებს ისე ღრმად და საფუძვლიანად ვერ ეცოდინებათ, როგორც ქართველს, და ეგ ბუნებრივიცაა, რაკიღა ვლადიმერ პაპავა, როგორც საქართველოს ეკონომიკის მინისტრი (1994-2000), უშუალოდ მონაწილეობდა პოსტკომუნისტური ტრანსფორმაციის, მაკროეკონომიკური სტაბილურობის მიღწევისა და რეფორმაციის პროცესში. სწორედ ამ ხანებში მოთოკა სახელმწიფომ ჰიპერინფლაცია, შემოიღო ეროვნული ვალუტა, ჩაატარა პრივატიზაცია, გაატარა ფასების რეფორმა, მიაღწია ეკონომიკურ ზრდას. სწორედ იმხანად გახდა ლარი თავისი არსებობის განმავლობაში ყველაზე ძლიერი – 100 დოლარი შეგეძლოთ შეგეძინათ 120 ლარად!

ამგვარი აღმავლობა ქართულ ვალუტას არასოდეს ღირსებია!

როცა მკვლევარი ღრმად არის ჩაფლული „საკუთარ მასალაში“, სრულყოფილად ფლობს მას და მისით ოპერირებს, შეუძლებელია არ იგრძნოს ახალი (ზოგჯერ გარდამავალი) ტერმინის საჭიროება და კიდევაც ქმნის მას. მოგახსენებთ პირად გამოცდილებას: ფილოლოგიის მეცნიერებაში შემოვიტანე ახალი ტერმინები: **ნანუკდოტი, ნანუკაობა, დიდი მალიხიზმი, ლახუდრული რუსთველოლოგია, გრივერიზმი, ბენაშვილიზმი, რატიანიზმი** და სხვ.

საგულისხმოა, რომ პროფ. პაპავამ შემოიღო ღრმა აზრის შემცველი ეკონომიკური ნეოლოგიზმები: **კავკაზია** (კავკასია და აზია), **ცენტრალური კავკაზია, ნეკროეკონომიკა** (მკვდარი ეკონომიკა)...

მსოფლიო მეცნიერთა შორის ფართოდ გავრცელდა და დიდი მოწონება დაიმსახურა ეკონომიკის მეცნიერებაში პირველად გამოყენებულმა ღრმაშინაარსიანმა ტერმინმა **ნეკროეკონომიკა.** ნეოლოგიზმი იმდენად მოეწონა პროფ. **მონტაგს,** რომ ავტორის მიუთითებლად გამოიყენა. ოღონდ, როგორც იტყვიან, სანთელ-საკმეველი თავის გზას არ დაკარგავს. აკი არც დაუკარგავს: პროფ. **პატრიკ სკოტმა** ამ ნაკლზე მიუთითა მონტაგს და ამით აღიარა ქართველი მკვლევრის პრიორიტეტი.

გამოჩენილი ეკონომისტები განსაკუთრებით ეწაფებიან ვლადიმერ პაპავას იმ სტატიებს, რომლებიც საქართველოს ეკონომიკურ და გეოეკონომიკურ საკითხებს ეხება. ეს ბუნებრივიცაა: თეორეტიკოსისა და პრაქტიკოსის (ეკონომიკის მინისტრი) მოსაზრებები ფასდაუდებელია. განსაკუთრებით საგულისხმო გამოდგა მკვლევრის ის გეოეკონომიკური მოსაზრებები, რომლებსაც საფუძვლად დაედო საქართველო-აზერბაიჯანის ეკონომიკური ურთიერთობის ფაქტები. ქართველმა მეცნიერმა მიუთითა, რომ აზერბაიჯანი ფლობს გასასვლელს კასპიის, ხოლო საქართველო – შავ ზღვაზე. მაშასადამე, ეს ორი ქვეყანა, ჯერ ერთი, ეკონომიკურად ერთმანეთზეა გადაბმული და, მეორეც, ერთობლივად ქმნიან კორიდორს ევროპასა და აზიას შორის. საბოლოოდ გამოტანილია დასკვნა: **ამ ქვეყნებს აქვთ საერთო ეკონომიკური ინტერესები; უნდათ თუ არა, გადაბმული არიან ერთმანეთზე; ისინი იძულებული არიან, გააძლიერონ თანამშრომლობა; თბილისისა და ბაქოს კავშირს ძალუძს გახდეს კავკასიის ინტეგრაციის პროცესის ბირთვი, ანუ გადაიქცეს ცენტრალური კავკასიის სატრანსპორტო და სავაჭრო ცენტრად.**

**ჭეშმარიტი მეცნიერის ნიჭიერება ვლინდება იმ საინტერესო სათაურებითაც, რომლებიც მიგნებამდეც მკვლევარი მიჰყავს თავად სამეცნიერო-კრიტიკულ აზროვნებას. ამ შემთხვევაში სათაურიც ჯოკონდას ღიმილივით საგულისხმო და სატევარივით ორმხრივ მჭრელი გამოდის. სწორედ ასეთი გამოდგა ევროპაში გახმაურებული სტატია „საერთაშორისო სავალუტო ფონდისა და მსოფლიო ბანკის „ვარდისფერი“ შეცდომები საქართველოში“ (2009 წ.).**

**თუ ერთ შემთხვევაში სენსაციურად გახმაურებული ეკონომიკური ნეოლოგიზმი შექმნა ავტორმა, ამჟამად გარედან ქვეყნის შიგა საქმეებში უხეში ჩარევა სენსაციურად მაღალმხატვრული და ღრმაშინაარსიანი სათაურით გააქილიკა. დღეს, 2026 წელს, უკვე მშვენივრად ვხვდებით, თუ რა გამოუსწორებელი ზიანი და ზარალი მიაყენეს ქვეყანას „მოყვარე მტრებმა“ – ჯოკონდას გამოუცნობი ვარდისფერი ღიმილი კატასტროფული შედეგით დამთავრდა: დავკარგეთ დიდძალი ხალხი, ტერიტორიები; საქართველო შაგრენის ტყავივით შეიკუმშა; ნამდვილი ეკონომიკური და მასზე დაფუძნებული პოლიტიკური დამოუკიდებლობა მაინც ჰორიზონტივით გაგვირბის და მოუხელთებელი რჩება. ჭეშმარიტი მეცნიერი ყოველთვის გულწრფელია. ამ სიგულწრფელითა და მხატვრული ოსტატობით გვხიბლავს ზემოხსენებული სათაურიც.**

ბატონი ვლადიმერ პაპავა არა ოდენ პოლიტიკურად, ეკონომიკურადაც გრძნობს **საარჩევნო რევოლუციების გამოგონების** რეაქციულ ბუნებას, მათს დამღუპველ ზემოქმედებას ქვეყნებისა და რეგიონების ყოფა-ცხოვრებაზე, ეროვნულ მენტალიტეტზე... ეს ნაშრომები გვეხმარებიან „ვარდისფერი შეცდომების“ დაძლევასა და გადალახვაში.

კრებულის ყურადღებით წაკითხვის შემდგომ მივხვდი: ეს ჩემი აღტაცებული გამოხმაურება უნდა დამესრულებინა ბატონ ელგუჯა მექვაბიშვილის დასკვნით:

„ნეკროეკონომიკსის სახით პროფესორმა ვლადიმერ პაპავამ ჩამოაყალიბა თეორიული ეკონომიკის ახალი მიმართულება, რომელიც იძლევა როგორც განვითარებული საბაზრო ეკონომიკის, ისე, განსაკუთრებით, პოსტკომუნისტური გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნების რეალობაში მიმდინარე პროცესების საფუძვლიანი შესწავლის შესაძლებლობას, ამასთანავე, ნეკროეკონომიკსის თეორია შეიცავს განვითარება-სრულყოფის შინაგან იმპულსს“ (104).

დავსძენ: იგივე ითქმის მკვლევრის ნებისმიერი სხვა მიმართულების ნაშრომებზეც.

ყოველივე ეს ცხადყოფს:

**ჩვენ წინაშეა გამოჩენილი მკვლევარი, მსოფლიო დონის მეცნიერი, რომელმაც ღირსეულად გააგრძელა ფილიპე გოგიჩაიშვილისა და პაატა გუგუშვილის საქმე და კიდევ ერთხელ ასახელა სამამულო მეცნიერება.**

**ყოველივე ამაზე, და არა მარტო, ფართოდ არის მოთხრობილი სამეცნიერო სტატიების კრებულში, რომელიც ეძღვნება აკადემიკოსის დაბადების 70 წლისთავს. უზარმაზარ ფოლიანტს ასე ჰქვია: „ეკონომიკის მეცნიერება და საქართველოს ეკონომიკა, I“ (2025).**

**ტექნიკურად უნაკლო ფართო ფორმატის 490-გვერდიანი ტომეული გამოუშვია გამომცემლობა „უნივერსალს“. აქ წარმოდგენილია ვლადიმერ პაპავას ნაშრომთა სრული ნუსხა, საიდანაც ჩანს: შემოქმედს თავისი ნაყოფიერი სამეცნიერო საქმიანობა დაუწყია 1973 წლიდან და დღემდე ქართულ და უცხოურ ენებზე გამოუქვეყნებია 514-ამდე შრომა.**

კრებულში, რომლის რედაქტორებიც არიან ცნობილი სწავლულები **ელგუჯა მექვაბიშვილი** და **გივი ბედიანაშვილი,** დაბეჭდილია ნოდარ ხადურის, ნაზირა კაკულიას, მაია ტორაძის, ელგუჯა მექვაბიშვილისა და სხვათა ნარკვევები, რომლებშიც გაშლილია სიღრმისეული მსჯელობა ეკონომიკის თეორიულ და პრაქტიკულ საკითხებზე, ჯეროვნად არის გათვალისწინებული და მითითებული იუბილარის ნაშრომები.



**მურმან თავდიშვილი,**
ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

ჟურნალისტის მართალი სიტყვა

**ამ რამდენიმე დღის წინ ვდგავარ თბილის-ქალაქის ცენტრში, ყველასთვის ნაცნობ ადგილზე და...**

**დედაქალაქის სტუმართა ჯგუფი ფუსფუსებდა ბარათაშვილის ქუჩაზე, იმ ცნობილ გალავანთან, საიდანაც პრაქტიკულად იწყება ტურისტული მარშრუტი – „ძველი თბილისი“. ახალგაზრდები ყურადღებით უსმენდნენ გიდს...**

**ცნობისმოყვარეობამ მძლია, შევჩერდი და მივაყურადე. გიდი საკმაოდ გამართული რუსულით, სხაპასხუპით მოუთხრობდა სტუმრებს როგორ ნადირობდა აქაურ ტყეებში ვახტანგ გორგასალი... საუბრობდა დაჭრილი ხოხობის ლეგენდასა და ცხელ გოგირდოვანი წყლის სასწაულმოქმედ წყაროებზე, დარეჯანის სასახლეზე, გოლოდროინდელ არქეოლოგიურ გათხრებზე...**

**და მოულოდნელად, ერთმა ცნობისმოყვარემ, მიუთითა რა იქვე მდგარ ძეგლზე, იკითხა, თუ ვისი იყო და რა დამსახურებისთვის მიაგეს მას ასეთი დიდი პატივი.**




# «რატომ კარგი აგიგია»?!

პაუზა!.. შემდეგ მოკლე პასუხი: ჩვენ ახლა მაგ პოეტის(!) სახელობის ქუჩაზე ვიმყოფებითო...

გული დამწყდა, მარტო უსწორო პასუხის გამო კი არა, უფრო იმიტომ, რომ:

– ქალბატონ გიდს წარმოდგენაც არ აქვს, ძველი თბილისის ისტორიული ნაწილის აღდგენის იდეასა და ისტორიაზე;

– არც ამ ჩანაფიქრის განხორციელებასთან დაკავშირებულ სიძნელეებზე, რაც გადაილახა ჯერ კიდევ 1970-იან წლებში და წარმატებით დაგვირგვინდა პირველი „თბილისობის“ ზეიმით 1979 წლის 27 ოქტომბერს;

– მან, ეტყობა, არც ის იცის, თუ ვინ იყო „ძველი თბილისის“ გაცოცხლების იდეა-კონცეფციის ავტორი და პრაქტიკულად მისი სულის ჩამდგმელი;

– გიდს რომ მისი სახელი გაგონილი ჰქონოდა, იტყოდა, რომ დედაქალაქის იმდროინდელ მმართველ ჯგუფთან და უამრავ პატრიოტ თანამოქალაქესთან ერთად აღდგენილ „ძველ თბილისს“ სწორედ იმ ადამიანს უნდა ვუმადლოდედ, ვისი ვინაობითაც ის ცნობისმოყვარე ტურისტი დაინტერესდა;

იმ სტუმარს კი ვეღარ მივაწვდენ ხმას, მაგრამ ჩემს მკითხველს, გამოკვეთილად კი ახალ თაობას რომ წარმოადგენენ, ვეტყვი: იცოდეთ და დაიხსომეთ – ის პეწიანი, ქვაში ძეგლად გამოთლილი არსება, ამ ადგილს რომ ამშვენებს, გახლავთ დაუვიწყარი **შოთა ყავლაშვილი** – დიდი ხუროთმოძღვარი, ნაღდი თბილისელი **კაცი**!

28 იანვარს სრულდება მისი დაბადებიდან 100 წლისთავი.

გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ არქივში შემონახულია ცნობილი არქიტექტორის, ბატონ გიგა ბათიაშვილის მშვენიერი და გულშემატკივრული წერილი, რომელიც შოთა ყავლაშვილის პიროვნებას, მის ღვაწლს ეხება.

ცოტა გულსატკენი კი არის, რომ დღევანდელი ახალგაზრდების უმრავლესობისთვის მისი სახელი პრაქტიკულად არაფრისმთქმელია. ეს არ არის ახალი თაობის ბრალი. ბოლო 30-35 წლებთან დაკავშირებულმა დრომ – საზოგადოებრივ-პოლიტიკურმა მრავალწლიანმა დაულაგებლობამ, ეკონომიკური პრობლემების სიმრავლემ, რომელმაც სულიერება უკანა პლანზე „მოისროლა“, მოიტანეს ეს სამწუხარო რეალობა...

ახლა, ამ პუბლიკაციაში არ არის ადგილი და მომენტი ამ გულსატკენი „ვითარების“ ავტორებზე, მიზეზებზე, შედეგებზე საუბრისა... უფროსი თაობების, ანუ, ჩვენი „ბრალიც“ საკმაოა, რომ ქვეყნის, ხალხის, თბილისის წინაშე ღვაწლმოსილი ბევრი ადამიანის შესახებ ნაკლებად არის ინფორმირებული ნამეტნავად თინეიჯერულ-გაახალგაზრდავებული საზოგადოება.

თავის დროზე, ამ „ნაკლის“ გამოსწორების მცდელობად აღვიქვი პირადად მე დიდი პროფესიონალისა და საზოგადო მოღვაწის, ცხონებული გიგა ბათიაშვილის გულწრფელი წერილი. მადლობა მას.

ამ წერილმა ბევრი რამ გამახსენა.

თავს შევიკავებ ბატონი შოთას მოღვაწეობის პროფესიული ხასიათის შეფასებებისგან, რომელსაც გიგა ბათიაშვილზე უკეთ, ბუნებრივია, ვერ შევძლებ. არც მისი, როგორც შემოქმედის უზადო გემოვნების შესახებ ვიტყვი რამეს. ამაზე მისი ნააზრევ- ნახელავი, განსაკუთრებით კი, აღდგენილი, ძველი ისტორიული თბილისი მეტყველებს...

მინდა გავიხსენო, უწინარესად, ყავლაშვილის, როგორც დედაქალაქის მთავარი არქიტექტორის პრინციპულობა, რომელიც, ზოგჯერ, არნახულ „სიჯიუტეში“ გადადიოდა...

როცა საქმე ეხებოდა თბილისს, განსაკუთრებით მის ისტორიულ ნაწილს, ბატონი **შოთა** ხდებოდა „აგრესიული“ და მისთვის აბსოლუტურად არ ჰქონდა მნიშვნელობა ოპონენტის „ჩინმენდლებსა“ და სტატუსს...

ეს ოპონენტები კი სრულებითაც არ იყვნენ ისეთი პერსონები, რომელთაც არ შეეძლოთ მისთვის ვნების მოტანა. აკი შეეწირა კიდეც ორჯერ(!) ამ „სიჯიუტეს“ მისი თანამდებობრივი მდგომარეობა. შეეწირა, მაგრამ მაინც არ დაუშვა მათი „გამარჯვება“.

დღეს კი წარმოდგენაც არ შემიძლია, შოთას მთავარი არქიტექტორობის დროს (ანუ 70-80-იან წლებში) რომ მომხდარიყო ის, რაც მოხდა ამ ბოლო 30-35 წლის განმავლობაში...

რას დაამსგავსეს ქალაქის ცალკეული უბნები?! თუნდაც, სპორტის სასახლის მიმდებარე ტერიტორია, „აკადემქალაქი“, მთაწმინდის ფერდობი...

ან, ბაგებში, წყნეთში გაჩეხილი გამწვანებული ის ტყეები, ჯერ კიდევ გასული საუკუნის 50-იან წლებში, დიდი ნიკო კეცხოველის თაოსნობით მოწყობილი შაბათობების მეშვეობით, მოსწავლეებისა და სტუდენტების უანგარო ოფლისღვრის შედეგად რომ ალამაზებდნენ ქალაქს...

სხვათაშორის, მაშინაც ჰყავდა ქვეყანას მთავრობა და ავტორიტეტული, ძლიერი, „ყოვლისშემძლე“ ლიდერები, მაგრამ... ნურას უკაცრავად, ყავლაშვილი, რომელსაც „ზურგს უმაგრებდა“ პროფესიონალ თანამოაზრეთა გუნდი, საზოგადოების აქტიური ნაწილი, არავის შეეპუებოდა და ისინიც სერიოზულ ანგარიშს უწევდნენ პრინციპულ ხუროთმოძღვარს.

სწორედ ამ ანგარიშგაწევის შედეგი იყო სამართლიანობის აღდგენაც – „მისი დაბრუნება და მრავალწლიანი შედეგიანი მოღვაწეობა მთავარი არქიტექტორის პოსტზე!

ძალიან სასიამოვნო მოგონებად დამრჩა არაერთი შეხვედრა, საერთო საქმე, საუბრები ამ უაღრესად საინტერესო კაცთან, მაგრამ იყო ერთი „პრობლემა“, რომლის გადაწყვეტაც უშუალოდ შოთას არ შეეძლო, კეთილად დამთავრებისთვის კი მისი თანხმობა აუცილებელი(!) გახლდათ, ხოლო ხელის შეშლას – იცოცხლე, სურვილის შემთხვევაში, წარბის ერთი აწევითაც მოახერხებდა.

ეს ის პერიოდია, 1973 წლის გაზაფხული, როცა რესპუბლიკასა და ქალაქში ხელმძღვანელობა შეიცვალა – ვასილ მჟავანაძის ნაცვლად მოსულია ედუარდ შევარდნაძე. ქალაქის პარტიულ ხელმძღვანელად (ანუ პირველ პირად) კი – პავლე გილაშვილი, რომელსაც, პრაქტიკულად, საზოგადოება არ იცნობდა. არადა, პატიოსანი კი იყო, მაგრამ მასზე, როგორც მეტისმეტად „ხისტ“ ხელმძღვანელზე არც თუ სასიამოვნო „ხმები“ დადიოდა იმ წლებში.

ჰოდა, ამ რთულ სიტუაციაში, როცა პანტაპუნტით იხსნებიან და ინიშნებიან კადრები, არავინ არ გარისკავს ისეთი ნაბიჯის გადადგმას, რაც შეიძლება „სკამის“ დაკარგვად დაუჯდეს...

შოთასაც საკმაოდ რთული მდგომარეობა აქვს, ხშირად უხდება „დატაკება“ სწორედ პ.გილაშვილთან, რომელსაც ყველგან კორუფცია და სხვა უბედურებები „ელანდება“ და ჰგონია, რომ პატიოსნებაზე პრეტენზია მხოლოდ მას აქვს და ამ პოზიციას ამაგრებს კიდეც თავისი, უკვე ანეკდოტად გადაქცეული, „ასკეტური ცხოვრების“ პრაქტიკით.

...ერთი სიტყვით, ამ ფონზე, ვესტუმრე ბატონ შოთას ჩემს უახლოეს მეგობართან და „მარჯვენა ხელთან“ – თემურ ჟღენტთან ერთად. მიუხედავად იმისა, რომ მასპინძელთან (მით უფრო, ჩემი მეგობრის მეუღლესთან) შინაურულ-ახლობლური ურთიერთობა მაკავშირებდა, მაინც მომიწია „დიპლომატიური ხერხების“ გამოყენება: ავუხსენი პრობლემის არსი. ვთხოვე რჩევა, ხელშეწყობა, დახმარება...

საქმე ეხებოდა მაშინდელი თეატრალური ინსტიტუტის სტუდენტთა ფანტასტიკურ იდეას – ახალგაზრდულ-სტუდენტური თეატრის დაარსებას და მისთვის „ჭერის“ მოძებნა-გამოყოფას. სტუდენტებს მათი აწ განსვენებული პედაგოგი-რეჟისორი სანდრო მრევლიშვილი წარმოადგენდა,



„გამწევი ძალა“ მაშინდელი კომკავშირის ცენტრალური კომიტეტი და მისი ერთ-ერთი მდივანი, თქვენი მონა-მორჩილი უნდა გამხდარიყო...

შოთა ყავლაშვილს ქვეტექსტებით მოვუყევი, რომ არნახული დახმარება გაგვიწიეს კულტურის მინისტრმა ოთარ თაქთაქიშვილმა და მისმა მოადგილემ აკაკი დვალიშვილმა. მათ გაბედულად დაარღვიეს არსებული წესი და ჩვენი ხვეწნა-მუდარით, ეშმაკური წინადადებით გადადგეს ორიგინალური ნაბიჯი – ახალგაზრდული თეატრი „ფილარმონიულ ჯგუფად“ გაგვიფორმეს და ამით თავიდან ავიცილეთ სსრკ კულტურის სამინისტროს ნებართვის აუცილებლობა, რამეთუ ახალი სახელმწიფო(!) თეატრის დაარსება ასე მარტივად და ადვილად არ მოხდებოდა.

...ბატონმა შოთამ გვისმინა, იდეა მოგვიწონა... ფიქრიანი პაუზა... და მოკლედ მოჭრა: თქვენ გვერდით ვდგავარ, ოღონდ... ეს არავინ უნდა იცოდესო! პირიქით, ისე წარმოაჩინეთ, რომ ჩემთან საერთო ენის გამონახვა გიჭირთო... გაგვაფრთხილა: ხელმძღვანელობამ რაიმე, სულ მცირე ფართის გამოყოფაც კი კატეგორიულად აგვიკრძალა, მით უმეტეს არამატერიალური წარმოების სფეროსთვისო... საკუთარი ინიციატივით რაიმეს გადაწყვეტა გამორიცხულია, ამიტომ უნდა მოიძებნოს არაორდინარული გზა და უნდა „დააბათ“ ქალაქის ახალი თავიო (ანუ, ახლა მერს რომ უწოდებენ)...

ნახევარ საათში ქალაქის „ბოსის“ მისაღებში ვართ. მოახსენეს ჩვენი მოულოდნელ-დაუგეგმავი „დესანტის“ შესახებ და... მისაღებში თავად გამოვიდა ეს ღირსეული კაცი, გაუფრთხილებლად „მოვარდნილ“ ვიზიტიორებს თბილად მოგვეფერა და...

ზუსტად ასეთ შეხვედრას ველოდი, რადგან ეს ახლადდანიშნული „ბოსი“ გახლდათ აწ განსვენებული ბატონი თამაზ ჯანელიძე, 50-იანი წლების კომკავშირის პოპულარული ლიდერი, მისი და შემდგომი თაობებისთვის ლეგენდა-კაცად რომ იყო ცნობილი. რა თქმა უნდა, კარგად ვიცნობდი და ვიცოდი მისი ხაზგასმული კეთილგანწყობაც საერთოდ კომკავშირისადმი და მისი მოქმედი ლიდერებისადმი...

თ. ჯანელიძემ ყურადღებით მოგვისმინა, ყველაფერი დეტალურად გამოგვკითხა. როცა ხაზგასმულად (ანუ ქვეტექსტებით და მინიშნებებით) „ცაში ავიყვანეთ“ კულტურის სამინისტრო და მისი ხელმძღვანელები; კორექტულად მივანიშნეთ ყავლაშვილთან სავარაუდო საუბრის წარუმატებლობასა და სიზუსტეზე... გულიანად იცინა ჩვენს „ეშმაკობაზე“ (...„თქვენი გამოსწორება არ იქნებაო“) და... მაგათ ჩვენ ვაჯობებთო და... სელექტორით დაუკავშირდა ქალაქის მთავარ არქიტექტორს, ანუ შოთა ყავლაშვილს, რომელსაც „გააცნო“ ჩვენი თავი, იდეა და... კაცურად სთხოვა „ფხუკიანობის“ გარეშე ჩვენი მოხმარება. თანაც დასძინა, – ახლა შენთან მოვლენ, ყველაფრის საქმის კურსში ჩაგაყენებენ, მოიფიქრეთ რამე კარგი და ჩემთან მოდით საბოლოო გადაწყვეტილებისთვისო...

ბატონმა შოთამ ამ საუბრისას თავისი როლი ისე ბრწყინვალედ შეასრულა, რომ თამაზ ჯანელიძემ იქით დაგვარიგა, როგორ უნდა „დაგვება“ მთავარი არქიტექტორი და გადმოგვეყვანა ჩვენკენ.

შ. ყავლაშვილთან ერთობლივად შემუშავებულმა „სცენარმა“ მოქმედება ჯეროვნად დაიწყო და წარმატებითაც გაგრძელდა. ორ საათში ისევ ჯანელიძესთან შევიკრიბეთ და... ქალაქის თავს ვთხოვეთ სანდრო მრევლიშვილის თეატრისთვის „მეტეხის ტაძარი“ გადმოეცა... ყავლაშვილმა, რა თქმა უნდა, „ჭოჭმანით“, მაგრამ მხარი მაინც დაგვიჭირა და ისეთი არგუმენტები „მოგვაშველა“, რომ თ.ჯანელიძეს თანხმობის მოცემის გარდა სხვა გზა აღარ დარჩა.

...ახლა უცებ გამოვარდება რომელიმე ცხელთავა კრიტიკოსი და ამიტეხს ვიშ-ვიშს, – რა უნდოდა ტაძარში თეატრსო?!.

მათთვის და კიდევ ზოგიერთი გონებაჩლუნგისთვის ვიმეორებ: ეს ხდება 1973 წელს! ვიმეორებ: 1973-ში! ათეისტური საბჭოთა კავშირის ერთ-ერთ რესპუბლიკაში... ტაძარი არ მოქმედებდა, ერთი ნაწილი საწყობად იყო გადაქცეული და მისი, როგორც საკულტო შენობის ფუნქციონირების პერსპექტივა იმ (!!!) პერიოდში პრაქტიკულად არ არსებობდა...

ტაძრის „ფართით“ მაშინ დროებით სარგებლობდა დიდი მოქანდაკე ელგუჯა ამაშუკელი. ის მაშინ მუშაობდა ფიროსმანის ვეებერთელა ძეგლზე და დღე და ღამე გასწორებული ჰქონდა... თუ ჩვენი იდეა განხორციელდებოდა, ტაძარი ისევ ჩადგებოდა ხალხის სამსახურში და მისი მოვლა-პატრონობაც გარანტირებული იქნებოდა.

თამაზ ჯანელიძემ თავის თავზე აიღო ამ საკითხის პოლიტიკური „ფონის“ მოგვარება, მე – საპატრიარქოსთან შეთანხმება... ჩემი ძმობილის ელგუჯა ამაშუკელის დათანხმება არ გამჭირვებია, მას ფართობი სხვაგან („ფეთხაინი“) ვუშოვეთ და ჯერ დაუმთავრებელი ნამუშევარი იქ გადავუტანეთ...

საბოლოოდ, რამდენიმე თვეში თბილისს ახალი თეატრი შეემატა! ახალგაზრდული!!! სტუდენტური!!!

სანდრო მრევლიშვილმა ნიჭიერი და მშვენიერი კოლექტივი შეკრა.

თეატრის დირექტორად ენერგიული და საქმისთვის თავდადებული გაიოზ კანდელაკი შევარჩიეთ...

„მეტეხის თეატრიც“ ლეგენდად დარჩა...

მაგრამ, როცა ამ ისტორიას და მის პერიპეტიებს ვიხსენებ, უწინარესად თვალწინ დამიდგება ფანტასტიკური კაცი, დიდი ხუროთმოძღვარი, ეროვნული მოღვაწე, ბრძენი და „უჯიუტესი“ კლდის ნატეხი – შოთა ყავლაშვილი.

მართლაც ნამდვილი თბილისელის სინონიმი, ჭეშმარიტად კოლორიტი კაცი! სწორედ ისეთი, ბარათაშვილის ქუჩაზე, დარეჯანის სასახლესთან რომ დგას ქვაში გამოთლილი – პეწიანი, ნაღდი არისტოკრატი...

დღეს, 28 იანვარს, შოთა ყავლაშვილი ასი წლის გახდა. მისი სახელი განუყოფელია ახალ და „ძველ“ თბილისთან.

ცოტა კი ვარ გაკვირვებული, რომ დედაქალაქის მერიას, საზოგადოება „თბილისელს“, არქიტექტურულ საზოგადოებას რაღაცნაირად უღალატა მეხსიერებამ და დაავიწყდა თბილისისთვის დამაშვრალი დიდი ხუროთმოძღვრის საუკუნოვანი საიუბილეო თარიღი.

არადა, დიდებული საქმე იქნებოდა პარლამენტის წინ შეკრებილი და ცენტრალურ მაგისტრალზე გულანთებული მომიტინგე და ყოველდღიური „მარშ-პარადის“ მონაწილეებს ჯერ აღექვათ, თუ ვინ იყო მათი საყვარელი დედაქალაქის გამორჩეულად გამლამაზებელი, მერე, ყვავილებით შეემკოთ და ამით პატივი მიეგოთ უახლესი წინაპრის ხსოვნისადმი.



**ნუგზარ ფოფხაძე**

# ისმინეთ, აკაცუკებო!



# უმეცარი მზია ამაღლობელის მიერ გაწნული სილის იურიდიულ-ფსიქოლოგიური ანალიზი

## სახელმწიფოებრივი წესრიგისა და სამოქალაქო თავისუფლების დიალექტიკა

**შევაჯამოთ გაზეთის წინა ნომერში განხილული სამართლებრივი სტანდარტები:**

**– გერმანია. §114 StGB. ფიზიკური თავდასხმა. 3 თვე – 5 წელი. სხეულის დაზიანება არ არის სავალდებულო; საკმარისია მტრული ქმედება.**

**– აშშ (ფედერალური). 18 U.S.C. § 111. ფიზიკური კონტაქტი. 8 წლამდე. ემოციური ფონი ან პოლიციელის პროვოკაცია არ ამართლებს ფიზიკურ კონტაქტს.**

**– საქართველო. მუხლი 353 სსკ. პოლიციელზე თავდასხმა. 4-7 წელი. გამოყენებული იქნა მზია ამაღლობელის საქმეზე (მიესაჯა 2 წელი). თუ პირველი ნაწილი ეხებოდა მოქალაქის ვალდებულებას, პატივი სცეს უნიფორმას და სახელმწიფოს მონოპოლიას, მეორე ნაწილი ეხება სახელმწიფოს ვალდებულებას, პატივი სცეს მოქალაქეს და იყოს ანგარიშვალდებული მის წინაშე.**

დიალექტიკური ბალანსი, რომელიც არის ევროპული დემოკრატიის ქვაკუთხედი, მოითხოვს, რომ „ხელშეუხებელი ძალაუფლება" იყოს „იდენტიფიცირებადი ძალაუფლება". ანონიმური ძალადობა არის ტირანიის ნიშანი, ხოლო იდენტიფიცირებადი ძალა – სამართლებრივი სახელმწიფოსი. გერმანიაში, სადაც პოლიციელზე თავდასხმა ასე მკაცრად ისჯება, პარალელურად და უპირობოდ არსებობს უმკაცრესი მოთხოვნა პოლიციელთა იდენტიფიცირებაზე, განსაკუთრებით მასობრივი ღონისძიებებისა და დემონსტრაციების დროს.

ეს არის სოციალური კონტრაქტის მეორე მხარე. ბერლინის პოლიციის კანონმდებლობა და სამსახურებრივი ინსტრუქცია ავალდებულებს სპეცრაზმელებს, რომლებიც მუშაობენ საპროტესტო აქციებზე, ატარონ უნიკალური საიდენტიფიკაციო ნომერი. – ეს არ არის აუცილებლად სახელი და გვარი,რაც შეიძლება საფრთხეს უქმნიდეს პოლიციელის ოჯახს და პირად უსაფრთხოებას, არამედ 5-ნიშნა ტაქტიკური კოდი (მაგ., 25314), რომელიც მიუთითებს ქვედანაყოფზე, ოცეულზე და კონკრეტულ მებრძოლზე.

**– როდესაც დემონსტრაციაზე ხდება ძალის გადამეტება, მოქალაქეს, ჟურნალისტს ან უფლებადამცველს უნდა შეეძლოს კონკრეტული ნომრის დაფიქსირება, რათა პროკურატურამ და სასამართლომ შეძლონ ინდივიდუალური პასუხისმგებლობის დაკისრება. ანონიმურობა გამორიცხავს ინდივიდუალურ პასუხისმგებლობას და წარმოშობს „კოლექტიურ უპასუხისმგებლობას". როგორც Amnesty International და ევროპის საბჭოს წამების პრევენციის კომიტეტი აღნიშნავს, პოლიციელის იდენტიფიკაციის გარეშე შეუძლებელია ეფექტური გამოძიება ძალის გადამეტების ფაქტებზე.**

თუ მსხვერპლი ვერ უთითებს კონკრეტულ მოძალადეს, გამოძიება შედის ჩიხში. შესაბამისად, იდენტიფიკაციის არარსებობა ავტომატურად ქმნის ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-3 მუხლის დარღვევის რისკს. მიუხედავად პოლიციის პროფკავშირების წინააღმდეგობისა, რომლებიც აპელირებდნენ პოლიციელთა უსაფრთხოებაზე, გერმანიის ფედერალური მიწების უმეტესობამ (მათ შორის **ბერლინმა, ბრანდენბურგმა, ჰესენმა, რაინლანდ-პფალცმა)** დანერგა ეს ვალდებულება.

**არგუმენტი მარტივია: „პოლიციელი, რომელიც კანონის სახელით მოქმედებს, არ უნდა მალავდეს სახეს და ნომერს".**

**დასასრული, დასაწყისი იხილეთ „სრ" №10**




ანონიმურობა ახალისებს დაუსჯელობის სინდრომს და ძირს უთხრის იმავე ინსტიტუციის ავტორიტეტს, რომლის დაცვაც პირველ ნაწილში განვიხილეთ. საფრანგეთში, 2014 წლიდან მოქმედებს შიდა უსაფრთხოების კოდექსის R.434-15 მუხლი, რომელიც ავალდებულებს ყველა პოლიციელსა და ჟანდარმს, ატაროს RIO ნომერი უნიფორმაზე ხილულ ადგილას. საფრანგეთის პოლიციის ეთიკის კოდექსი ადგენს: „პოლიციელი ან ჟანდარმი ასრულებს თავის მოვალეობას უნიფორმით... და იცავს ინდივიდუალური იდენტიფიკაციის წესებს. გარდა გამონაკლისი შემთხვევებისა, რომლებიც გამართლებულია სამსახურის ბუნებით, ის ატარებს თავის საიდენტიფიკაციო ნომერს". ეს ნომერი უნდა იყოს ხილული როგორც მკერდზე, ასევე მხარზე (სპეცრაზმის შემთხვევაში). მისი მიზანია, რომ მოქალაქემ შეძლოს საჩივრის დაწერა კონკრეტული დარღვევის შემთხვევაში, რაც უზრუნველყოფს სამოქალაქო კონტროლს ძალოვანი სტრუქტურების მიმართ. საფრანგეთის უფლებადამცველი ინსტიტუტები მუდმივად აკრიტიკებენ პოლიციას, როდესაც ეს წესი ირღვევა, და მიიჩნევენ ამას დემოკრატიული სტანდარტიდან გადახვევად. მზია ამაღლობელის საქმისა და ზოგადად, ბოლო პერიოდის საპროტესტო აქციების ანალიზი ცხადყოფს, რომ საქართველოში ეს სტანდარტი სისტემატურად ირღვევა. საჯაროდ ხელმისაწვდომ ვიდეომასალებში ხშირად ჩანან ნიღბიანი სპეცრაზმელები, **ე.წ. „რობოკოპები", ყოველგვარი საიდენტიფიკაციო ნომრის გარეშე.**

როდესაც მოქალაქე (მაგ., **მზია ამაღლობელი)** ხედავს ძალადობას მისი ოჯახის წევრებზე და ვერ ახდენს მოძალადის იდენტიფიცირებას, იქმნება სამართლებრივი ვაკუუმი. ანონიმური ძალა აღიქმება არა როგორც „კანონი", არამედ როგორც „საფრთხე". მართალია, ირაკლი დგებუაძე, როგორც პოლიციის უფროსი, იყო იდენტიფიცირებადი, მაგრამ ზოგადი ფონი, სადაც სპეცრაზმი მოქმედებს ანონიმური მასის სახით, ქმნის ტოტალური უსამართლობისა და დაუსჯელობის განცდას. სწორედ ეს ფონი ხდება ისეთი ინციდენტების კატალიზატორი, როგორიც იყო „სილის გაწვნა". როდესაც მოქალაქეს არ აქვს სამართლებრივი გზა (იდენტიფიკაცია –საჩივარი – გამოძიება), ის ინსტინქტურად მიმართავს ფიზიკურ წინააღმდეგობას, რაც დამღუპველია ორივე მხარისთვის.

ევროპული სტანდარტი ერთმნიშვნელოვანია: ძალის გამოყენება ლეგიტიმურია მხოლოდ მაშინ, თუ ის პერსონიფიცირებულია (სამართლებრივი გაგებით). როდესაც სახელმწიფო ითხოვს პატივისცემას, მან სანაცვლოდ უნდა გასცეს გამჭვირვალობა. ქართული რეალობის პრობლემა, ამ ანალიზის მიხედვით, არის არა სილის დასჯის სიმკაცრე (რაც ევროპულია), არამედ სისტემური ასიმეტრია: სახელმწიფო იყენებს „ევროპულ მათრახს" (მკაცრი სასჯელი პოლიციელზე თავდასხმისთვის), მაგრამ ივიწყებს „ევროპულ ფარს" (მოქალაქის უფლება, იცოდეს ვინ იყენებს ძალას).

**მზია ამაღლობელის საქმე არ არის მხოლოდ ერთი ჟურნალისტის ტრაგედია; ეს არის ქართული სახელმწიფოებრიობის დიალექტიკური კოლაფსის სიმპტომი. აქ ერთმანეთს შეეჯახა ორი სამართლებრივი ნარატივი, რომლებიც ევროპაში თანაარსებობენ, საქართველოში კი – ომობენ.**

საქმის მასალებიდან იკვეთება შემდეგი სურათი: ინციდენტი მოხდა უკიდურესად დაძაბულ ფონზე, ბათუმში, პოლიციის შენობასთან, სადაც მიმდინარეობდა საპროტესტო აქცია. პოლიცია აკავებდა მომიტინგეებს (მათ შორის ამაღლობელის ოჯახის წევრებს და კოლეგებს). დაცვის მხარე და თვითმხილველები მიუთითებენ პოლიციის უფროსის **ირაკლი დგებუაძის** აგრესიულ ქცევაზე. ადვოკატების განცხადებით, დგებუაძემ სიტყვიერი შეურაცხყოფა მიაყენა ამაღლობელს, შეაფურთხა მას და იყო ფიზიკურად აგრესიული დაკავებულების მიმართ. მზია ამაღლობელმა, საპასუხოდ, სილა გაარტყა დგებუაძეს. პროკურატურამ ქმედება დააკვალიფიცირა სსკ-ის 353 მუხლით (თავდასხმა პოლიციელზე), რაც ითვალისწინებს 4-დან 7 წლამდე პატიმრობას. სასამართლომ მას მიუსაჯა 2 წელი რეალური პატიმრობა.

ოპოზიციური და სამოქალაქო ნარატივი ამართლებს სილას, როგორც „სამართლიან პასუხს" უსამართლობაზე და ღირსების დაცვას. თუმცა, „სისტემური არქიტექტორის" პოზიციიდან, ეს მიდგომა საშიშია. თუ ჩვენ დავუშვებთ, რომ პოლიციელის შეურაცხყოფა (თუნდაც უმძიმესი) ამართლებს მასზე ძალადობას, ჩვენ ვანგრევთ სახელმწიფოებრივი მონოპოლიის პრინციპს. ხვალ იგივე არგუმენტით შეიძლება გამართლდეს ძალადობა ნებისმიერ საჯარო მოხელეზე.

**სტრასბურგის სასამართლომ დაადგინა, რომ პოლიციელს არა აქვს უფლება, სილა გაარტყას მოქალაქეს, თუნდაც მოქალაქე იყოს პროვოკაციული. მოქალაქესაც არა აქვს უფლება, სილა გაარტყას პოლიციელს, თუნდაც პოლიციელი იყოს პროვოკაციული. ცივილიზებული პასუხი არის სამართლებრივი და არა ფიზიკური.**

პრობლემის ფესვი არის არა სასამართლოს განაჩენში, რომელიც ფორმალურად კანონიერია და შეესაბამება დასავლურ ანალოგებს, როგორც ზემოთ ვნახეთ, არამედ ნდობის დეფიციტში. რატომ გაარტყა ამაღლობელმა სილა? იმიტომ, რომ მას, სავარაუდოდ, არ ჰქონდა იმედი, რომ დგებუაძის სავარაუდო გადაცდომას (გინება, შეფურთხება, უკანონო დაკავება) სახელმწიფო ობიექტურად გამოიძიებდა. როდესაც არ მუშაობს „შიდა კონტროლის მექანიზმი" (გენერალური ინსპექცია, სპეციალური საგამოძიებო სამსახური), მოქალაქე იღებს „მართლმსაჯულებას" საკუთარ ხელში. ეს არის Vigilante Justice-ის მომენტი, რაც სახელმწიფოს რღვევის ნიშანია.

გერმანიაში მოქალაქე არ არტყამს პოლიციელს არა მხოლოდ იმიტომ, რომ ეშინია §114-ის (სასჯელის), არამედ იმიტომაც, რომ სჯერა: **თუ პოლიციელი დაარღვევს კანონს, მისი ტაქტიკური ნომრის მეშვეობით მოხდება მისი იდენტიფიცირება და დასჯა. საქართველოში ეს მეორე რგოლი – ანგარიშვალდებულების ჯაჭვი – გამწყდარია, რაც იწვევს ძალადობის სპირალს.** ანგარიში უნდა აღნიშნავდეს, რომ თუმცა სილის გაწვნა დანაშაულია და 2-წლიანი სასჯელი ფორმალურად თავსდება დასავლურ ჩარჩოში (აშშ-ში 8 წლამდეა), საზოგადოებაში ჩნდება კითხვები სელექციურ სამართალთან დაკავშირებით. როდესაც სხვა მსგავსი ან უფრო მძიმე დანაშაულები (მაგ., მმართველი პარტიის მხარდამჭერების მიერ ჩადენილი ძალადობა) ხშირად ექვემდებარება ჯარიმას, პირობით მსჯავრს ან საერთოდ რჩება რეაგირების გარეშე, ამაღლობელის მიმართ გამოყენებული სიმკაცრე აღიქმება არა როგორც „კანონის უზენაესობა", არამედ როგორც „პოლიტიკური ანგარიშსწორება".

სამართლებრივი სახელმწიფოსთვის დამღუპველია არა კანონის სიმკაცრე, არამედ მისი შერჩევითი გამოყენება. კანონი უნდა იყოს ბრმა, მაგრამ საქართველოში ის ხშირად „ცალთვალაა“. როგორც უკვე აღვნიშნეთ, Bouyid-ის საქმე ეხებოდა პოლიციელის მიერ მოქალაქისთვის სილის გაწვნას. სასამართლომ დაადგინა, რომ სილა, თუნდაც ის არ იწვევდეს ფიზიკურ დაზიანებას, არის ადამიანის ღირსების შელახვა. ეს პრინციპი მუშაობს ორივე მიმართულებით.

**თუ პოლიციელის სილა არის ღირსების შელახვა, მოქალაქის სილა პოლიციელზე არის სახელმწიფოს ღირსების შელახვა. ევროპული სტანდარტი არ იწყნარებს ღირსების შელახვას არცერთი მხრიდან. ქართული პრაქტიკა, სადაც სპეცრაზმი მოქმედებს ნორმების გარეშე, პირდაპირ ეწინააღმდეგება ამ პრეცედენტს.**

ეს არის ის წერტილი, სადაც საქართველო აცდენილია ევროპულ ორბიტას. სახელმწიფოებრივი წესრიგისა და სამოქალაქო თავისუფლების დიალექტიკა არ მთავრდება გამარჯვებული ან დამარცხებული მხარის გამოვლენით. მზია ამაღლობელის საქმე არის მტკივნეული, მაგრამ აუცილებელი გაკვეთილი, რომელიც გვიჩვენებს, რომ ჩვენი სახელმწიფოებრივი ორგანიზმი ჯერ კიდევ „მოზარდობის“ ასაკშია, სადაც ემოციები ჭარბობს ინსტიტუციურ ლოგიკას, ხოლო სამართალი ხშირად გამოიყენება როგორც იარაღი და არა როგორც ფარი.

**ჭეშმარიტი ევროპული სახელმწიფო არ არის ის, სადაც პოლიციას სცემენ (რაც არის ანარქია), და არც ის, სადაც პოლიცია უსახური დამსჯელი რაზმია (რაც არის ავტორიტარიზმი).**

ევროპული მოდელი, რომლისკენაც უნდა მიისწრაფოდეს საქართველო, ემყარება ორმხრივ, სოციალურ კონტრაქტს, რომელიც შედგება ორი განუყოფელი ნაწილისგან:

1. ჩვენ უნდა ვაღიაროთ, რომ პოლიციელის უნიფორმა, მიუხედავად იმისა, ვინ ატარებს მას, არის სახელმწიფოს სიმბოლო. მასზე ხელის აღმართვა არის ტაბუ, რომლის დარღვევაც ანგრევს ჩვენივე უსაფრთხოების ფუნდამენტს. ემოციური „სამართლიანობა“ ვერ შეცვლის ინსტიტუციურ წესრიგს. 2. ხელისუფლებამ უნდა გააცნობიეროს, რომ ლეგიტიმაცია მოდის არა მხოლოდ ძალის გამოყენების უფლებიდან, არამედ გამჭვირვალობიდან. პოლიციელი უნდა იყოს აღჭურვილი არა მხოლოდ ხელკეტით, არამედ საიდენტიფიკაციო ნომრით (როგორც ბერლინში), რომელიც მას აქცევს პასუხისმგებლიან საჯარო მოხელედ და არა ანონიმურ ძალად. გამოსავალი არ არის ერთმანეთის „მტრებად“ გამოცხადება ან საზოგადოების ორ ბანაკად გახლეჩა.

**გამოსავალი არის პოლიტიკური სიმწიფის იმ დონემდე ამაღლება, სადაც მოქალაქე არ ეხება პოლიციელს (როგორც ბერლინში) და პოლიციელი ატარებს საიდენტიფიკაციო ნომერს (როგორც პარიზში). მხოლოდ ეს ორმხრივი პატივისცემა – ინსტიტუციის ხელშეუხებლობა და ძალაუფლების გამჭვირვალობა – შექმნის იმ ნამდვილ ევროპულ სახელმწიფოს, რომლის სარკეშიც დღეს ჩვენს ანარეკლს ვაკვირდებით. ეს არის რთული, მაგრამ ერთადერთი გზა, რომელიც გადის არა ბარიკადებზე, არამედ კანონის უზენაესობაზე.**



**ირაკლი ყიფიანი**

# ეს ბოდვა კი არა, სინამდვილეა!



## მეხუთე – სამხრეთ სუდანი

**მესინგმა ამ ტერიტორიას უწოდა ზეცისგან დაწყევლილი და ადამიანებისგან მიტოვებული.**

ამ რესპუბლიკის ერთი ნაწილი დაკარგავს სახელმწიფოებრიობას და უხელისუფლებობის ქაოსში გადავარდება, სადაც არ იარსებებს კანონი, იქნება მხოლოდ ძალადობა და შიმშილი.

## მეექვსე ხელისუფლება – მოლდოვა

**ძალაუფლება იდენტობის გარეშე, როგორც მესინგი ამბობდა, წარსულსა და მომავალს შორის გაჩხერილი.**

მოლდოვა ვერ გაუძლებს მიმდინარე შინაგან კონფლიქტებს და მისი დიდი ნაწილი შეუერთდება რუმინეთს. დნესტრისპირეთი რუსეთის პოლიტიკური და სამხედრო გავლენების სფეროში მოექცევა, სადაც გაგაუზები მიიღებენ განსაკუთრებულ სტატუსს.

## და მეშვიდე, განსაკუთრებულად შოკისმომგვრელი ინფორმაცია სახელმწიფოზე – ამერიკის შეერთებული შტატები

**მესინგს არ ულაპარაკია აშშ-ს ფიზიკურ გაქრობაზე, მაგრამ მან პირდაპირ იწინასწარმეტყველა ამერიკული იმპერიის კრახი. მან დაინახა ეკონომიკური კოლაფსი, პოლიტიკური კრიზისი და რამდენიმე შტატის შესაძლო რეცესია.**

2026 წლის შემდეგ ამერიკა ვეღარასდროს დაუბრუნდება თავის ძველ მდგომარეობას. მაგრამ მისთვის განსაკუთრებულად მძიმე თარიღია – 2026 წლის 26 თებერვალი.

# საიდუმლო წინასწარმეტყველება: 2026 წლის 26 თებერვალი და 7 სახელმწიფოს ბედი

## პირველი სახელმწიფო – უკრაინა

**უკრაინა მესინგმა დაახასიათა შემდეგი ნიშნებით: ორნახევარ ნაწილად გაყოფილი ტერიტორია, სადაც ძმა აღდგა ძმის წინააღმდეგ, სადაც აღმოსავლეთი და დასავლეთი ერთანეთს დაეტაკნენ სისხლისმღვრელ ბრძოლაში. მან იწინასწარმეტყველა, რომ ეს სახელმწიფო ვერ გაუძლებდა ზეწოლას და ფრაგმენტებად დაიშლებოდა.**

აღმოსავლეთი ტერიტორია შეუერთდებოდა რუსეთს, დასავლეთი დაიწყებდა პოლონეთთან შეერთების მცდელობას. კარპატისპირეთი გადაეცემოდა უნგრეთს, ოდესა ტრანსფორმირდებოდა საერთაშორისო პატრონაჟის მქონე ე.წ. თავისუფალ ქალაქად.

ახლა მიმდინარე მოვლენები ამტკიცებენ მესინგის სიმართლეს, მაგრამ განვაგრძოთ, რა წერია შემდეგ წინასწარმეტყველებაში 7 სახელმწიფოს გაქრობის შესახებ.

## მეორე – დიდი ბრიტანეთი

**მესინგმა ის მოიხსენია კუნძულის სამეფოდ, რომელმაც ნებაყოფლობით ჩამოიჭრა კონტინენტალური ნაწილი და უფრო ჩაეფლო საკუთარ ამპარტავნებაში.**

2020 წელს, ბრექსიტის შემდეგ, გაერთიანებული სამეფო კოლოსალური სირთულეების წინაშე აღმოჩნდა. შოტლანდიამ დამოუკიდებლობისთვის რეფერენდუმის ჩატარება მოითხოვა. ჩრდილოეთ ირლანდია მერყეობდა ლონდონსა და დუბლინს შორის, უელსშიც ისმოდა სეპარატისტული გამოძახილები.

მესინგმა იხილა, რომ 2026 წელს ეს მყიფე კონსტრუქცია დაირღვეოდა.

გაგრძელება, დასაწყისი იხილეთ „სრ“ №10

საიდუმლო დოკუმენტში ის ამბობს: შოტლანდია გამოაცხადებს დამოუკიდებლობას, ჩრდილოეთ ირლანდია შეუერთდება ირლანდიის რესპუბლიკას და დიდი ბრიტანეთისგან დარჩება მხოლოდ ინგლისი, ერთ დროს უძლეველი იმპერიის პატარა ნაწილი.

## მესამე წარმონაქმნი – ბოსნია და ჰერცოგოვინა

**ხელოვნური ფორმირება, შეკავშირებული უცხო მსხვერპლით, – ასე ახასიათებდა მას მესინგი. ეს ხელოვნური გაერთიანება აქამდე არსებობდა მშვიდობისმყოფელი კონტინგენტის ხელშეწყობით. სახელმწიფოს შიგნით არსებობდა სამი ერთმანეთს დაპირისპირებული ეთნიკური ჯგუფი: სერბები, ხორვატები და ბოსნიელი მუსულმანები.**

ახლა სერბეთის რესპუბლიკა უკვე ღიად აცხადებს პრეტენზიებს გამოყოფის შესახებ და სერბებთან ინტეგრაციის შესახებ. ხორვატული რაიონები ცდილობენ ხორვატიასთან შეერთებას. მესინგმა იწინასწარმეტყველა, რომ 2026 წელს, მშვიდობისმყოფელი მისიის შესუსტების შემდეგ, ბოსნია რამდენიმე კვირაში, ნაწილებად დაიშლებაო.

## მეოთხე სახელმწიფო – ლიბია

**2011 წელს მუამარ კადაფის ლიკვიდაციის შემდეგ ეს ტერიტორია ქაოსის ზონად გადაიქცა. მესინგმა იწინასწარმეტყველა, რომ ლიბია 2026 წელს მთლიანად დაკარგავდა სახელმწიფოებრიობის ყოველგვარ ნიშანს.**

აღმოსავლეთი ნაწილი გადავა ეგვიპტის გავლენის სეროში. დასავლეთი – თურქეთის ინტერესთა ზონაში. სამხრეთი რეგიონები დროებით ხელისუფლების გარეშე აღმოჩნდებიან. – ამბობდა იგი.

მესინგმა დატოვა დაშიფრული მინიშნება – დიდი წყალი გადარეცხავს სამყაროს.

ზოგიერთები ამას პირდაპირ ხსნიან – ცუნამი, ან წარღვნა. სხვები ამ წინასწარმეტყველებაში მეტაფორას ხედავენ, მაგრამ არსებობს კიდევ ერთი ინტერპრეტაცია. 26 თებერვალი არის ოთხი წლისთავი უკრაინაში სპეციალური სამხედრო ოპერაციის დაწყებიდან. შესაძლებელია ზუსტად ამ დღეს 26 თებერვალს გამოცხადდეს ამ საშინელი დაპირისპირების დასასრული და საზღვრების ახალი გადანაწილება.

**ახლა კი ყველაზე საინტერესო: კგბ-ს იმავე საიდუმლო დოსიეში აღმოაჩინეს კიდევ ერთი დოკუმენტი, სადაც მითითებული იყო მოვლენები, რომლებიც მოხდებოდა 2026 წლის 26 თებერვლამდე, როგორც კატასტროფის მაცნეები.**

**პირველი** – უძლიერესი დაავადება დაიპყრობს პლანეტას! – კოვიდის ვირუსის პანდემია 2022 წელს.

**მეორე** – აღმოსავლეთი აღდგება დასავლეთის წინააღმდეგ – რუსეთისა და ნატოს დაპირისპირება – კონფლიქტი უკრაინაში.

**მესამე** – ფულადი რესურსები გაუფასურდება, ინფლაცია, ვალუტის გაუფასურება, ეკონომიკური კრიზისი.

**მეოთხე** – ადამიანები დაკარგავენ ხელისუფლებების ნდობას. საპროტესტო მოძრაობების რიცხვი გლობალურად გაიზრდება.

**მეხუთე** – დიდი ტრანსფორმაციების დროს ზამთრები განსაკუთრებით ცივი იქნება.

მოამზადა
**ირანდა კალანდაძე**

(დასასრული მორიგ ნომერში)



# ახალი პარკი ტბასთან

**ინფრასტრუქტურის სამინისტროს მუნიციპალური განვითარების ფონდი კასპში, ვარჯაანის დასახლებაში, ბუნებრივი ტბის მიმდებარედ იწყებს ახალი პარკის პროექტირებას.**

პროექტის მიზანია, შეიქმნას თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი სარეკრეაციო სივრცე, რომელიც ადგილობრივი მოსახლეობისა და სტუმრებისთვის დასვენების, გართობისა და სხვადასხვა აქტივობისთვის კომფორტულ გარემოს უზრუნველყოფს. პროექტის მიხედვით, **კასპის ახალ პარკში უნდა მოეწყოს შადრევნები, საბავშვო და დასასვენებელი ზონები, ატრაქციონები, კულტურული და საგანმანათლებლო სივრცეები. გარდა ამისა, პარკი გააერთიანებს სპორტულ მოედნებს და სავარჯიშო სივრცეებს, სკეიტბორდის მოედანს, ველოსიპედის და საფეხმავლო ბილიკების ქსელს.**

პროექტის მიხედვით, მოწესრიგდება ტბის სანაპირო, პარკში განთავსდება პავილიონები, საინფორმაციო ცენტრი და სწრაფი კვების ობიექტები. კასპის ახალი პარკის ტერიტორიაზე ასევე უნდა მოეწყოს ავტოსადგომი, განათების და უსაფრთხოების თანამედროვე სისტემები. პროექტის ფარგლებში განსაკუთრებული ყურადღება დაეთმობა ბიომრავალფეროვნების დაცვას, ტერიტორიის ადგილობრივი სახეობების ხე-მცენარეებით გამწვანებას და ეკოლოგიურად მდგრადი მასალების გამოყენებას.

# სასათბურე მეურნეობები დევნილი ოჯახებისთვის

**გორის მუნიციპალიტეტის სოფლებში, ტყვიავსა და ქვემო ხვითში, დევნილი ოჯახებისთვის, სასათბურე მეურნეობები მოეწყო და სრულად აღიჭურვა,** – ინფორმაციას ჯანდაცვის სამინისტრო ავრცელებს.

2025 წლის განმავლობაში, მთელი საქართველოს მასშტაბით, 50 მსგავსი პროექტი განხორციელდა, სადაც დევნილებს სხვადასხვა ტიპის სასოფლო-სამეურნეო კულტურის მოყვანა უკვე დაწყებული აქვთ.



**დევნილთა სააგენტოს პროგრამა, რომელიც იძულებით გადაადგილებულ პირებს, სასოფლო-სამეურნეო საქმიანობის წამოწყებასა თუ გაფართოებაში ეხმარება, წარმატებით მიმდინარეობს. გასულ წლებში დაფინანსებულ დევნილი ოჯახები სათბურში მოყვანილი პროდუქტის რეალიზაციას ეწევიან, რაც მათთვის შემოსავლის დამატებით წყაროს წარმოადგენს.**

სასათბურე მეურნეობის მხარდაჭერის პროგრამაში ჩართვის მსურველი დევნილებისა და ეკომიგრანტებისთვის განაცხადების მიღების ახალი ეტაპი უკვე დაწყებულია და 12 თებერვლის ჩათვლით გაგრძელდება.

# ხონში საფეხბურთო ტექნიკური ცენტრი აშენდება

**ინფრასტრუქტურის სამინისტროს მუნიციპალური განვითარების ფონდი ქალაქ ხონში საფეხბურთო ტექნიკური ცენტრისა და ხელოვნურსაფარიანი სტადიონის მშენებლობას იწყებს.**

ძველი სტადიონი, რომლის ადგილზე ახალი ტექნიკური ცენტრი მოეწყობა, ინფრასტრუქტურის მინისტრმა **რევაზ სოხაძემ** და მუნიციპალური განვითარების ფონდის აღმასრულებელმა დირექტორმა **ბექა ურუშაძემ** იმერეთის მხარეში სახელმწიფო რწმუნებულ **ლევან ზალკალიანთან** და ხონის მუნიციპალიტეტის მერთან, **ლადო ჯურხაძესთან** ერთად დაათვალიერეს. პროექტის ფარგლებში დაგეგმილია ხელოვნურსაფარიანი საფეხბურთო მოედნის, 300 მაყურებელზე გათვლილი ტრიბუნების, გასახდელების, სველი წერტილებისა და სამეურნეო სათავსოების მოწყობა.

სპორტული ინფრასტრუქტურა სრულად იქნება ადაპტირებული განსაკუთრებული საჭიროებების მქონე პირებისთვის. ტექნიკური ცენტრი ასევე უზრუნველყოფილი იქნება შესაბამისი სპორტული ინვენტარითა და მოედნის მოვლისთვის საჭირო ტექნოლოგიური საშუალებებით.

# შინ და გარეთ

# პირველი კატეგორიის საწარმოების რეგისტრაცია 2026 წლის 31 იანვარს იწურება

**პირველი კატეგორიის საწარმოებმა ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს რეესტრში რეგისტრაცია 2026 წლის 31 იანვრის ჩათვლით უნდა გაიარონ.**

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს ინფორმაციით, აღნიშნულს ითვალისწინებს საქართველოს კანონი „ენერგოეფექტურობის შესახებ“ და ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის ბრძანებით დამტკიცებული „ენერგოაუდიტის ჩატარების წესი“.

**„რეესტრში რეგისტრაციის მიზნით, საწარმომ სამინისტროს მეილზე – gesrp@moesd.gov.ge უნდა წარუდგინოს ამ წესის დანართის შესაბამისი ინფორმაცია და ამონაწერი მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან.**

**საწარმო პირველი კატეგორიისაა, თუ შემდეგი სამი კრიტერიუმიდან ორს აკმაყოფილებს: აქტივების ჯამური ღირებულება აღემატება 50 მილიონ ლარს, შემოსავალი კი – 100 მილიონ ლარს, ასევე დასაქმებულთა საშუალო რაოდენობა 250-ზე მეტია“,** – აღნიშნულია ინფორმაციაში.

# სპორტული ინფრასტრუქტურისა და ტურისტული პოტენციალის განვითარება ჭიათურაში

**ჭიათურის საფეხბურთო ტექნიკური ცენტრის მშენებლობის მიზნით, ინფრასტრუქტურის სამინისტროს მუნიციპალური განვითარების ფონდმა ბაზრის კვლევა უკვე გამოაცხადა.**

სპორტული ინფრასტრუქტურის, მათ შორის ჭიათურის ცენტრალური ისტორიული სტადიონის არსებული მდგომარეობისა და მისი თანამედროვე სტანდარტების შესაბამისად რეაბილიტაციის შესაძლებლობების გაცნობის მიზნით, ინფრასტრუქტურის მინისტრი **რევაზ სოხაძე** მუნიციპალური განვითარების ფონდის აღმასრულებელ დირექტორ **ბექა ურუშაძესთან** ერთად ჭიათურაში შეხვდა საქართველოს პარლამენტის წევრ **პაატა კვიჟინაძესა** და ჭიათურის მუნიციპალიტეტის მერს **გივი მოდებაძეს**.

# ბაღდათში სპორტული და რეკრეაციული პროექტები იგეგმება

**ბაღდათის მულტიფუნქციური სპორტული კომპლექსის პროექტირებას მუნიციპალური განვითარების ფონდის კონკურსში გამარჯვებული კომპანია WALL Architecture 2026 წლის მაისში დაასრულებს.**

მულტიფუნქციური **კომპლექსი მოიცავს 250 მაყურებელზე გათვლილ სპორტულ დარბაზს, საბავშვო და დიდ საცურაო აუზებს, სატრენაჟორო, ძიუდოს, კრივისა და ორთაბრძოლების, ტანვარჯიშისა და სხვა სპორტულ დარბაზებს. ასევე გათვალისწინებულია ქორეოგრაფიული და ფოლკლორული დარბაზები, მედიათეკა და კულტურული და შემეცნებითი აქტივობებისთვის საჭირო სივრცეები. ბაღდათში ასევე დაგეგმილია საფეხბურთო ტექნიკური ცენტრის მშენებლობა. პროექტი მოიცავს ხელოვნურსაფარიან საფეხბურთო მოედანს 300 მაყურებელზე გათვლილი ტრიბუნებითა და შესაბამისი თანმდევი ინფრასტრუქტურით. ამასთან, ბაღდათის რეკრეაციული პარკის პროექტის მოსამზადებლად მიმდინარეობს ბაზრის კვლევა.**

სპორტული და რეკრეაციული ინფრასტრუქტურის მოსაწყობად განსაზღვრული ტერიტორიები ინფრასტრუქტურის მინისტრმა რევაზ სოხაძემ, მუნიციპალური განვითარების ფონდის აღმასრულებელმა დირექტორმა ბექა ურუშაძემ, იმერეთის მხარეში სახელმწიფო რწმუნებულმა და ბაღდათის მუნიციპალიტეტის მერმა ადგილზე დაათვალიერეს. ასევე, საპროექტო და სამშენებლო კომპანიებთან ერთად განიხილეს პროექტებთან დაკავშირებული დეტალები.



# კორუფცია ჩინეთისთვის სრულიად მიუღებელია!

## „უოლ სთრით ჯორნალი“: სი ძინპინის მოადგილეს ჩინეთის ბირთვული პროგრამის შესახებ ინფორმაციის აშშ-ისთვის გადაცემაში ადანაშაულებენ



**ჩინეთის ცენტრალურ სამხედრო საბჭოში სი ძინპინის მოადგილეს, ჟანგ იოუსის ქვეყნის ბირთვული პროგრამის შესახებ ინფორმაციის აშშ-ში გაჟონვაში ადანაშაულებენ,** – ამის შესახებ ინფორმაციას ამერიკული გამოცემა **„უოლ სთრით ჯოურნალი“** ჩინეთის შეიარაღებული ძალების მიერ 24 იანვარს ჩატარებულ დახურულ ბრიფინგზე დაყრდნობით ავრცელებს.

მანამდე ჩინეთის ეროვნული თავდაცვის სამინისტრომ განაცხადა, რომ გენერალ **ჭანგ იოუსის** წინააღმდეგ გამოძიება დაიწყო, თუმცა საქმის დეტალები არ გაუსაჯაროებია. განცხადებაში საუბარი იყო პარტიული დისციპლინისა და სახელმწიფო კანონების სერიოზულ დარღვევებზე. „უოლ სთრით ჯოურნალის“ ცნობით, **ჭანგ იოუსიმ** აშშ-ს გადასცა ჩინეთის ბირთვული იარაღის შესახებ მნიშვნელოვანი და გადამწყვეტი ტექნიკური მონაცემები.

გარდა ამისა, ჩინეთის ხელისუფლება სწავლობს გენერლის საქმიანობას იმ უწყების ზედამხედველის თანამდებობაზე, რომელიც პასუხისმგებელია სამხედრო ტექნიკის კვლევაზე, განვითარებასა და შესყიდვაზე. გავრცელებული ცნობით, **ჭანგ იოუსი** ეჭვმიტანილია ქრთამის სანაცვლოდ შესყიდვების სისტემაში კონკრეტული პირების დაწინაურებაში, ასევე თანხის სანაცვლოდ ერთ-ერთი ოფიცრის ჩინეთის თავდაცვის მინისტრის თანამდებობაზე წარდგენაში. გენერალ **ჭანგ იოუსის** ასევე ბრალი ედება ჩინეთის მმართველი პარტიის შიგნით გავლენის ფარული ქსელების ფორმირებაში, რაც, გამოცემის ცნობით, პარტიის ერთიანობას უთხრიდა ძირს.

# ტრამპის რეიტინგი დაბალ ნიშნულამდე დაეცა




**თეთრ სახლში დაბრუნების შემდეგ დონალდ ტრამპის რეიტინგი ყველაზე დაბალ ნიშნულამდე დაეცა,** – ამის შესახებ ინფორმაციას „როიტერი“ Reuters/Ipsos-ის საზოგადოებრივ გამოკითხვაზე დაყრდნობით ავრცელებს.

**შედეგების თანახმად, ამერიკელების მხოლოდ 39% ეთანხმება ტრამპის ქმედებებს იმიგრაციასთან დაკავშირებით, რაც იანვრის დასაწყისში 41%-ს შეადგენდა. ამასთან, გამოკითხულთა 53% არ ეთანხმება აშშ-ის პრეზიდენტის პოლიტიკას. გამოკითხულთა დაახლოებით 58% მიიჩნევს, რომ აშშ-ის იმიგრაციისა და საბაჟო სამსახური „ძალიან შორს“ მიდის თავისი რეპრესიებით, 12% კი თვლის, რომ ისინი საკმარისს არ აკეთებენ.**

**გამოკითხვის მიხედვით, ტრამპის საქმიანობის მოწონების საერთო რეიტინგი 38%-მდე დაეცა, რაც 12-13 იანვრის პერიოდში 41%-ს შეადგენდა.**

როგორც გამოცემა წერს, გამოკითხვა ონლაინ რეჟიმში 1 139 ზრდასრულ ამერიკელს შორის ჩატარდა და ცდომილების ზღვარი დაახლოებით 3 პროცენტს შეადგენს.

# საფრანგეთში 15 წლამდე ასაკის ბავშვებისთვის სოციალური ქსელები აკრძალეს!

**საფრანგეთის პარლამენტის ქვედა პალატამ 15 წლამდე ასაკის ბავშვებისთვის სოციალურ ქსელებში შესვლის აკრძალვას მხარი დაუჭირა. კერძოდ, კანონპროექტს 130-მა დეპუტატმა დაუჭირა მხარი, 21-მა კი წინააღმდეგ მისცა ხმა.**

კანონპროექტს ახლა საფრანგეთის სენატმა უნდა უყაროს კენჭი. საფრანგეთის პრეზიდენტმა **ემანუელ მაკრონმა** მოუწოდა პარლამენტარებს, დააჩქარონ პროცესი, რათა კანონი მომავალი სასწავლო წლიდან ამოქმედდეს.

**„ჩვენი შვილების ტვინი არ იყიდება არც ამერიკული პლატფორმებისთვის, არც ჩინური ქსელებისთვის. მათი ოცნებები არ შეიძლება იყოს ნაკარნახევი ალგორითმებით. ჩვენ არ გვინდა თაობა, რომელიც შფოთავს, არამედ გვსურს თაობა, რომელსაც სჯერა საფრანგეთის რესპუბლიკის და მისი ღირებულებების“,** – წერს საფრანგეთის პრეზიდენტი. **კანონპროექტი საბოლოოდ თუ დამტკიცდება, ავსტრალიის შემდეგ საფრანგეთი გახდება მეორე ქვეყანა, რომელიც ასეთ კანონს მიიღებს.**

## პოლიციამ მუხრანში ორი პირი დააკავა

**შინაგან საქმეთა სამინისტროს მცხეთა-მთიანეთის პოლიციის დეპარტამენტის საგამოძიებო სამმართველოს თანამშრომლებმა დამამძიმებელ გარემოებაში ჩადენილი განზრახ მკვლელობისა და ცეცხლსასროლი იარაღის მართლსაწინააღმდეგო შეძენა-ტარების ბრალდებით წარსულში ნასამართლევი 2 პირი: 1982 წელს დაბადებული ს.ც. და 1986 წელს დაბადებული ი.მ. დააკავეს.**

ინფორმაციას შინაგან საქმეთა სამინისტრო ავრცელებს. უწყების ცნობით, გამოძიებით დადგინდა, რომ ერთ-ერთმა ბრალდებულმა, თანმხლებ პირთან ერთად, მიმდინარე წლის 24 იანვარს მცხეთის მუნიციპალიტეტში ცეცხლსასროლი იარაღიდან რამდენიმე გასროლით სასიკვდილო ჭრილობები მიაყენა 1980 წელს დაბადებულ ზ.ს.-ს და 1985 წელს დაბადებულ გ.ქ.-ს.

**„დამამძიმებელ გარემოებებში ჩადენილი დანაშაულის შემდეგ ორივე ბრალდებული შემთხვევის ადგილიდან მიიმალა. პოლიციამ საქმეზე ჩატარებული ოპერატიული ღონისძიებებისა და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად დანაშაულში მონაწილე ორივე პირი ბრალდებულის სახით დააკავა. გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 109-ე და 236-ე მუხლებით მიმდინარეობს, რაც 20 წლამდე ან უვადო თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს“**, – ნათქვამია შსს-ს ინფორმაციაში.

## სუს-ის თანამშრომლის გარდაცვალების ფაქტზე გამოძიება დაიწყო



**სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის თანამშრომლის გარდაცვალების ფაქტზე თბილისის პროკურატურის საგამოძიებო სამმართველომ გამოძიება დაიწყო**, – ამის შესახებ აღნიშნულია საქართველოს პროკურატურის ინფორმაციაში.

**„სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის ანტიკორუფციული სააგენტოს თანამშრომლის გარდაცვალების ფაქტზე თბილისის პროკურატურის საგამოძიებო სამმართველომ გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 115-ე მუხლით დაიწყო. ანტიკორუფციული სააგენტოს თანამშრომელი დღეს დილით საკუთარ ავტომანქანაში ცეცხლსასროლი იარაღით მიყენებული ჭრილობით გარდაცვლილი იპოვეს. შემთხვევის ადგილის დათვალიერებისას ამოღებულია ცეცხლსასროლი იარაღი, რომელიც გარდაცვლილს თან ჰქონდა და წერილი, რომელიც გვერდითა სავარძელზე იქნა ნანახი. მიმდინარეობს შესაბამისი გადაუდებელი საგამოძიებო მოქმედებები“**, – აღნიშნულია პროკურატურის განცხადებაში.

---

# ა.ა.ი.პ. საქართველოს დიაბეტის ფონდის მიერ 2025 წ. განხორციელებული საქმიანობის ანგარიში

ა.ა.ი.პ. **საქართველოს დიაბეტის ფონდი** (არასამეწარმეო, არაკომერციული იურიდიული პირი, საქველმოქმედო ორგანიზაციის დამადასტურებელი მოწმობა N4, 15.04.2005).

**საქართველოს დიაბეტის ფონდის** საქმიანობა 2025 წ. მოიცავდა შემდეგ მიმართულებებს:

1.დიაბეტიანი მოსახლეობისათვის (ძირითადათ მოზრდილები) უფასო კონსულტაციების ჩატარებას და სხვადასხვა სამედიცინო გამოკვლევების ჩატარებას;

2. დიაბეტიანებისთვის ანტიდიაბეტური მედიკამენტებით ჰუმანიტარული დახმარების გაწევას;

3. პაციენტების სასწავლო საგანმანათლებლო საქმიანობას;

4.მძიმე სოციალური მდგომარეობის მქონე პაციენტებისთვის ფინანსური დახმარების გაწევას;

ზემოთაღნიშნული ღონისძიებების დაფინანსება ხორციელდებოდა დეპოზიტის პროცენტებიდან და დამხმარე სამეურნეო საქმიანობიდან მიღებული სახსრებიდან.

1. საქართველოში მცხოვრები დიაბეტიანი პაციენტებისთვის სამედიცინო გამოკვლევები მოიცავდა სისხლში გლუკოზის განსაზღვრას, თვალის სრულ გამოკვლევებს (თვალის ფსკერის გამოკვლევას ფუნდუს კამერით, თვალის რეფრაქტომეტრულ გამოკვლევას, თვალის წნევის გაზომვას, სათვალის შერჩევას და სხვ.).

2. დიაბეტიანი პაციენტებისათვის მედიკამენტებით ჰუმანიტარული დახმარება მოიცავდა ფონდის მარაგში არსებული ინსულინის და შპრიც-კალმისტრების დარიგებას; აგრეთვე საანალიზო-ტექნიკური საშუალებების (გლუკომეტრები, საანალიზო ჩხირები და სხვ.) გაცემას, როგორც საქართველოს მოქალაქეებზე, ასევე არარეზიდენტი დიაბეტიანი პაციენტებისთვის.

3. ფონდი დიაბეტურ სკოლაში ახორციელებთა დიაბეტური განათლების მიცემას ყველა დაინტერესებული პირისთვის, სადაც ლექციებს ატარებდნენ ენდოკრინოლოგიის აღიარებული და მაღალკვალიფიცური სპეციალისტები. ფონდმა დაბეჭდა და უფასოდ დაურიგა დიაბეტიან ბავშვებს და მოზრდილებს სასწავლო-სამაგიდე წიგნი „დიაბეტის მართვა“, რომელიც ფასდაუდებელ დახმარებას უწევს დიაბეტიანი ბავშვების მშობლებს და ყველა დაინტერესებულ პირებს.

4. მრავალი წელია ფონდი ფინანსურ დახმარებას უწევს სოციალურად უკიდურესად გაჭირვებულ ოჯახებს,რომელთაც სახლში ჰყავთ დიაბეტიანი და ასევე სხვა ნოზოლოგიის შშმ პირები.

საანგარიშო პერიოდში ზემოთაღნიშნული მომსახურება და დახმარება გაეწია ათეულობით დიაბეტიან ბავშვსა და მოზრდილ პაციენტს, რომლის დეტალური ანგარიში სრული საფინანსო ინფორმაციისათვის (იხილეთ ბალანსი და საქმიანობის შედეგების ანგარიშგების ფორმები) წინამდებარე ანგარიშს თან ახლავს.

## ააიპ საქართველოს დიაბეტის ფონდი
### საქმიანობის შედეგების ანგარიშგება
2025 წლის 31 დეკემბერს დამთავრებული წლისათვის

I.შეუზღუდავი ფონდების ნაწილში

| №№ | შემოსავლები | 2024 | 2025 |
|---|---|---|---|
| 1 | შეზღუდვისაგან განთავისუფლებული ფონდი ძირ. | | |
| 2 | დროებითი შეზღუდული ფონდი | | |
| 3 | შესრულებული სამუშაო | 188570,34 | 307401.68 |
| 4 | საპროცენტო შემოსავლები | 130733,63 | 156328.44 |
| 5 | დივიდენდი | 0,00 | 186532.50 |
| 6 | კურსთა სხვაობა | 23271,59 | - |
| 7 | სხვა შემოსავლები | | |
| | | | |
| | *სულ შემოსავლები* | 342575,56 | 650262.62 |
| | ხარჯები | | |
| 1 | I პროექტის ხარჯი | 548988,89 | 504085,07 |
| 2 | II პროექტის ხარჯი(ფონდის გადანაწილება) | | |
| 3 | პროექტების მხარდაჭერის ხარჯი | | |
| 4 | ადმინისტრაციული და სხვა ხარჯი (კ/სხვ.) | | |
| | *სულ ხარჯები* | 548988,89 | 504085,07 |
| | მთლიანი შედეგი (შემოსავლების ნამეტი/ დეფიციტი) | -206413,33 | 143777,55 |
| | განსაკუთრებული მუხლები | | |
| | *წმინდა შედეგი (ფონდის ზრდა/შემცირება)* | -206413,33 | *143777,55* |
| | | | |
| | II.დროებითი შეზღუდული ფონდების ნაწილში | | |
| №№ | შემოსავლები | | |
| 1 | შემოწირულობა, | 10000 | - |
| 2 | საწევროები | 0,00 | |
| 3 | ფონდების გადანაწილება | | |
| | | | |
| | სულ შემოსავალი | 10000 | - |
| | ხარჯები | | |
| 1 | I პროექტის ხარჯი | | |
| 2 | II პროექტის ხარჯი | 3995,20 | 2400 |
| 3 | III პროექტის ხარჯი | | |
| | სულ ხარჯები | 3995,20 | 2400 |
| | *წმინდა შედეგი (ფონდის ზრდა/შემცირება)* | *6004,8* | *146177,55* |

## ააიპ საქართველოს დიაბეტის ფონდი
### ბალანსი
2025 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

| | | 2025 | 2024 |
|---|---|---|---|
| | აქტივები | | |
| | | | |
| | გრძელვადიანი აქტივები | | |
| | ძირითადი საშუალებები | 2058729.19 | 1922130,23 |
| | ინვესტიციები | 2013396.90 | 2047296,90 |
| | სხვა გრძელვადიანი აქტივები | | |
| | | | |
| | *მიმდინარე აქტივები* | | |
| | მატერიალური მარაგი | 6900.47 | 6300,47 |
| | დებიტორები | 15438.64 | 25619,64 |
| | ავანსები | 1992.87 | 619,44 |
| | ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტი | 228426.88 | 181942,06 |
| | | | |
| | სულ აქტივები | 4324884,95 | 4183908,74 |
| | ფონდები და ვალდებულებები | | |
| | *ფონდები* | | |
| | შეუზღუდავი ფონდი | 3637768,54 | 3491590,99 |
| | დროებით შეზღუდული ფონდი | 677749,44 | 680149,44 |
| | მუდმივად შეზღუდული ფონდი | | |
| | *გრძელვადიანი ვალდებულებები* | | |
| | გრძელვადიანი სესხები | | |
| | საპენსიო ანარიცხები | | |
| | *მოკლევადიანი ვალდებულებები* | | |
| | კრედიტორები | 9366.97 | 12168,31 |
| | მოკლევადიანი სესხები | | |
| | გრძელვადიანი სესხების მიმდინარე ნაწილი | | |
| | სულ ფონდები და ვალდებულებები | 4324488,95 | 4183908,74 |




# თითქოს, როგორი ადვილია...

**რა არის საჭირო ზეიმის მოსაწყობად?**

**კაცი რომ დაუფიქრდე, ბევრი არაფერი: თავმომწული ლიდერი მის ირგვლივ შემოკრებილი თანამოაზრეებითა და უკვე გაკეთებული სასიკეთო საქმეებით, დანარჩენს კი ადვილად ეშველება.**

მოკლედ, რუსთავის ახალ საკალათბურთო დარბაზში გამართულ ყველა ვარსკვლავის ტრადიციულ შეხვედრაზე ვსაუბრობთ და, ალბათ მიხვდით, რომ წერილის შესავალში ნახსენებ ხელმძღვანელში ქალაქის სამაგალითო მერს **ნინო ლაცაბიძეს** ვგულისხმობთ, რომლის თანამშრომლობითაც ეროვნულ ფედერაციასთან ქვემო ქართლის გულში, მონაწილეთათვის საპატიო დერეფნის მოწყობით დაწყებული, დაუვიწყარი ღონისძიება მოეწყო.

**ადგილობრივები – ლეგიონერები** 134:148

**საუკეთესო მოთამაშე:** მაირინ თომასი (ბათუმი) – 38 ქულა;

**სამქულიანების კონკურსი** – დიჯეი დევისი (მარგვეთი);

**ჩატენვების კონკურსი** – ლუკა ხარაბაძე (ორბი).

* * *

**ამასობაში** მსგავსი გამოცდილებით გამორჩეული ნბა-ს პრესსამსახურმა ოფიციალურად დაადასტურა 15 თებერვალს ლოს ანჯელესში გასამართავი ოლ სთარზის მონაწილე კონფერენციების გუნდების სასტარტო ხუთეულების შემადგენლობები.

**აღმოსავლეთი**

**სტეფ კარი, ლუკა დონჩიჩი, შეი გილჯეს ალექსანდერი, ნიკოლა იოკიჩი, ვიქტორ ვემბანიამა.**

**დასავლეთი**

**იანის ანტეტოკუნმპო, ჯეილენ ბრაუნი, ჯეილენ ბრანსონი, კეიდ კანინგემი, ტაირეზ მაქსი.**



# ოქროც, ვერცხლიც

**სლოვენიის დედაქალაქ ლიუბლიანაში ფიგურულ სრიალში იუნიორთა შორის საერთაშორისო ტურნირი გაიმართა, სადაც საქართველოდან 16 წლის ინგა გურგენიძე მონაწილეობდა. მან 23 მონაწილეს შორის პირველი ადგილი დაიკავა და ოქროს მედალი მოიპოვა.**

სლოვენიაში ჩატარებულ ტურნირამდე გურგენიძემ ასევე წარმატებას მიაღწია რუმინეთში გამართულ იუნიორთა შეჯიბრებაზე, სადაც 21 მონაწილეს შორის მეორე ადგილზე გავიდა და ვერცხლის მედლის მფლობელი გახდა.




# ახალი სისხლით

**გორჯალოსანთა განახლებულმა სამწვრთნელო შტაბმა 2026 წლის რაგბი ევროპის ჩემპიონატის ჯგუფური ეტაპის შეხვედრებისთვის 9 პოტენციურ დებიუტანტს უხმო.**

ესენი არიან: ბურჯი მამუკა მსტოიანი, მეორეხაზელები – თემურ წულუკიძე, დავით ლაგვილავა და გაგი მარგველაშვილი, მესამეხაზელი ანდრო დვალი, 9 ნომერი გიორგი სპანდერაშვილი, ცენტრი დავით ბარბაქაძე, ფრთა ნიკოლოზ რეხვიაშვილი და ფულბეკი ოთარ მეტრეველი. მათგან რამდენიმე გაფართოებულ შემადგენლობაში აქამდეც ყოფილა, თუმცა ნაკრების კვართით ჯერ არ უთამაშიათ.

გარდა ამისა, **პიერ-ანრი ბრონკანმა** და **მარკო ბორტოლანიმ** გუნდში რამდენიმე ისეთი მოთამაშე დააბრუნეს, რომელთაც დიდი ხანია ნაკრებში აღარ უთამაშიათ. 2021 წლის შემდეგ ბორჯღალოსნებში ბრუნდება 'სტად ფრანსეს" ბურჯი გიორგი მელიქიძე, რომლის ანგარიშზე 26 კეპია. 2024 წლის შემდეგ ნაკრებში აღარ უთამაშია 'მონ დე მარსანის" მესამეხაზელს იოანე იაშაღაშვილს. მან ნაკრებში ერთადერთხელ, 2024 წელს ავსტრალიის წინააღმდეგ ითამაშა. შარშანდელი რაგბი ევროპის ჩემპიონატის შემდეგ გუნდში ბრუნდებიან ლუკა გოგინავა და ლუკა ნიორაძე.

გაფართოებულ შემადგენლობაში სულ 34 მორაგბეა, რომელთაგან 20 შერკინების, ხოლო 14 ხაზის მოთამაშეა. მათგან 27 ლეგიონერია, 6 'შავი ლომის" ღირსებას იცავს, ერთი კი ნაკრებში საქართველოს ჩემპიონატის პირველი ლიგიდან მოხვდა. ეს ნიკოლოზ რეხვიაშვილია, რომელიც რეგულარულად თამაშობდა საქართველოს 7-კაცა ნაკრებში, 15-კაცა გუნდში კი პირველად უხმეს.

რაგბი ევროპის 17-გზის გამარჯვებული საქართველო ტიტულის დაცვას 8 თებერვალს დაიწყებს და პირველ მატჩს ივერდონში შვეიცარიასთან გამართავს, 15 თებერვალს ნიდერლანდებს ამსტერდამში ეთამაშება, ჯგუფურ ეტაპს კი 21 თებერვალს თბილისში (ავჭალაზე) ესპანეთთან დაასრულებს. ნახევარფინალები 7-8 მარტს, ხოლო ფინალები 15 მარტს გაიმართება.



# საუკუნეთა წიაღიდან

**დღეს ლიეტუვის ქალაქ კაუნასში ყოფნაარყოფნის მატჩია საქართველოსა და საფრანგეთს შორის, რადგან სასწორზე დევს ფუტსალში ევროპის ჩემპიონატის პლეიოფის საგზური.**

დიახ, მეორე ეტაპზე გასასვლელად აუცილებლად უნდა დავამარცხოთ ჩვენი ჯგუფის ლიდერი მრისხანე მეტოქე, ხოლო ლატვიამ და ხორვატეთმა ფრედ არ უნდა ითამაშონ.

ის, რომ მორიგი მიზნის მისაღწევად შანსი შევინარჩუნეთ, მნიშვნელოვანწილად ჯვაროსანთა ფერეიდნელი მეკარის **ალი ასლანის** დამსახურებაა, რომელმაც ევროპული რეიტინგის მე-7 გუნდთან 33(!) დარტყმა მოიგერია, მათ შორის – პენალტი და ძვირფასი ქულა გადაგვირჩინა.

**საქართველო – ხორვატეთი 2:2**

**გოლები**: სეკულიჩი (საკუთარ კარში), კეკელია; კუსტურა, ლიმა.

შეგახსენებთ, რომ დაცვის ბურჯი **თოფურია** ტურნირის პირველივე, ლატვიელებთან საბედისწერო შეხვედრის დასაწყისშივე მიღებული ტრავმის გამო გამოგვაკლდა (0:4), მაგრამ ბიჭებმა ხასიათის სიმტკიცე გამოავლინეს და რამდენიმე დღეში შეძლეს შოკიდან გამოსვლა. ვიმედოვნებთ, ისინი დღეს ფავორიტთანაც შეძლებენ საკუთარი ღირსების წარმოჩენას.

**სატურნირო მდგომარეობა:** საფრანგეთი – 4, ლატვია – 3, ხორვატეთი – 2, საქართველო – 1 ქულა.

**დავძენთ, რომ ფორუმის მეოთხედფინალში თითოეული კვარტეტიდან 2-2 საუკეთესო ნაკრები იასპარეზებს.**




# მესამედ – საკუთარ აუზში

**ბელგრადში მესამედ გამართული წყალბურთელთა ევროპის ჩემპიონატის ფინალში ერთმანეთს სერბეთისა და უნგრეთის ნაკრებები შეხვდნენ. მასპინძლებმა მეტოქე 10:7 დაამარცხეს და საშინაო ევროპის ჩემპიონის ტიტული მესამედ მოიპოვეს.**

მატჩის ბედი მეოთხე მეოთხედში გადაწყდა, რომელიც სერბებმა 3:1 მოიგეს. ბალკანელთაგან საუკეთესო **დუშან მანდიჩი** იყო – მან ოთხი გოლი გაიტანა.

მესამე ადგილისთვის მატჩში საბერძნეთის ნაკრებმა იტალია 12:5 დაამარცხა და ბრინჯაოს მედლები პირველად მოიპოვა.

საქართველოს ნაკრებმა ტურნირი მეათე ადგილზე დაასრულა.

# ბლატერმაც – ბოიკოტიო!

**ფიფას ყოფილმა პრეზიდენტმა ზეპ ბლატერმა მხარი დაუჭირა 2026 წლის მსოფლიო ჩემპიონატის მატჩების ბოიკოტირების მოწოდებებს შეერთებულ შტატებში. მან გააკრიტიკა პრეზიდენტ დონალდ ტრამპისა და მისი ადმინისტრაციის ქცევა როგორც ქვეყნის შიგნით, ასევე საერთაშორისო დონეზე.**

საერთაშორისო ფეხბურთის ცნობილმა ფიგურამ, ბლატერმა, ეჭვქვეშ დააყენა შეერთებული შტატების, როგორც ტურნირის მასპინძლის, შესაფერისობა. სოციალურ მედია პლატფორმა X-ზე გამოქვეყნებულ პოსტში მან გაიმეორა **მარკ პიეტის** მიერ გასულ კვირას შვეიცარიულ გაზეთ Der Bund-თან ინტერვიუში გაკეთებული კომენტარები.



პიეტი, შვეიცარიელი იურისტი და ანტიკორუფციული ექსპერტი, ადრე ხელმძღვანელობდა ფიფას რეფორმის დამოუკიდებელ ზედამხედველობის კომიტეტს. ბლატერი ფიფას პრეზიდენტის თანამდებობას 1998 წლიდან 2015 წლამდე იკავებდა, კორუფციის გამოძიების ფონზე კი პოსტი დატოვა. ინტერვიუში პიეტმა განაცხადა: **„თუ გავითვალისწინებთ ყველაფერს, რაც განვიხილეთ, გულშემატკივრებისთვის მხოლოდ ერთი რჩევაა: არ იმოგზაუროთ შეერთებულ შტატებში! ნებისმიერ შემთხვევაში, უმჯობესია მატჩს ტელევიზორში უყუროთ. ჩასვლისთანავე გულშემატკივრებმა უნდა იცოდნენ, რომ თუ ისინი არ დააკმაყოფილებენ ოფიციალური პირების მოთხოვნებს, მათ დაუყოვნებლივ დააბრუნებენ შემდეგი რეისით".**

ბლატერმა ასევე ციტატა მიაყოლა პიეტის სიტყვებს და დასძინა: **„ვფიქრობ, მარკ პიეტი მართალია, რომ ამ მსოფლიო ჩემპიონატს ეჭვქვეშ აყენებს".** მსოფლიო ჩემპიონატი შეერთებულ შტატებში, კანადასა და მექსიკაში 2026 წლის 11 ივნისიდან 19 ივლისამდე გაიმართება.

# რამდენიმეს დაასვენებენ

**7-8 თებერვალს საფრანგეთის დედაქალაქში სტარტს აიღებს ძიუდოში პარიზის გრანდ სლემი, სადაც მონაწილეობას საქართველოს ნაკრებიც მიიღებს.**

როგორც ცნობილი ხდება, ჯვაროსნები პრესტიჟულ ტურნირზე 10 ძიუდოისტით იქნებიან წარმოდგენილნი და აღსანიშნავია, რომ -60 კგ წონით კატეგორიაში მებრძოლი არ გვეყოლება და ნაკრების რამდენიმე ლიდერი დაისვენებს.

**საქართველოს შემადგენლობა:**

**66 კგ** – ვაჟა მარგველაშვილი, თორნიკე გიგაური. **73 კგ** – ლაშა შავდათუაშვილი, გიორგი ტერაშვილი. **81 კგ** – ზაურ დვალაშვილი, კოტე კაპანაძე. **90 კგ** – ლუკა მაისურაძე. **100 კგ** – ნიკა ხარაზიშვილი. **+100 კგ** – საბა ინანეიშვილი, ირაკლი დემეტრაშვილი.

# ნოვოჩერკასკის სასაკლაო

**1962 წლის ივნისში რუსეთის ქალაქ ნოვოჩერკასკში მოხდა ის, რასაც წლების განმავლობაში მალავდნენ. თითქოს, არ არსებობდა სისხლი, მსხვერპლი და გასროლა, რეალურად კი ეს იყო ერთ-ერთი ყველაზე შოკისმომგვრელი მაგალითი იმისა, როგორ დაუპირისპირდა საბჭოთა სახელმწიფო საკუთარ მუშებს — იმ კლასს, რომლის სახელითაც ამართლებდა საკუთარ არსებობას.**




**ყველაფერი ეკონომიკური გადაწყვეტილებით დაიწყო. 1962 წლის 1 ივნისს ხელისუფლებამ ერთდროულად გაზარდა ხორცისა და რძის ფასები და ამავე დროს, შეამცირა ხელფასები ნოვოჩერკასკის ელექტროვაგონშემკეთებელ ქარხანაში. მუშებისთვის ეს იმას ნიშნავდა, რომ მათ უკვე აღარ შეეძლოთ საკუთარი ოჯახების გამოკვება. დილით დაწყებული უკმაყოფილება სწრაფად გადაიზარდა სპონტანურ გაფიცვაში.**

ქუჩაში გამოსული მუშები ითხოვდნენ საქმელს, სამართლიან ანაზღაურებას და დირექტორთან საუბარს. 2 ივნისს ქალაქის ცენტრში ათასობით ადამიანი შეიკრიბა. მათ შორის იყვნენ ქალები და მოზარდებიც. სწორედ ამ მომენტში ნოვოჩერკასკში შეიყვანეს შიდა ჯარები, მილიცია და „კაგებეს“ დანაყოფები. ხელისუფლებამ გადაწყვეტილება უმაღლეს დონეზე მიიღო.

**როდესაც დემონსტრანტები ქალაქის პარტიულ შენობას მიუახლოვდნენ, გაისმა ბრძანება, რომელიც მოგვიანებით ოფიციალურ დოკუმენტებში მხოლოდ ორ სიტყვად ჩაიწერა: „ცეცხლი გახსენით“. სამხედროებმა ცეცხლი გაუხსნეს უიარაღო ხალხს.**

სროლა რამდენიმე წუთს გაგრძელდა, მაგრამ შედეგი კატასტროფული იყო. ოფიციალური მონაცემებით, დაიღუპა, მინიმუმ, 26 ადამიანი, თუმცა მოწმეებისა და მოგვიანებით გამოქვეყნებული კვლევების მიხედვით, მსხვერპლი გაცილებით მეტი იყო. ათეულობით ადამიანი დაიჭრა. ქუჩაში დარჩენილი სისხლის კვალი სასწრაფოდ მორეცხეს.

დაღუპულები ოჯახებს არ გადასცეს. ისინი ღამით, ფარულად, სხვადასხვა სასაფლაოზე დამარხეს. ნათესავებს აუკრძალეს დაკრძალვაზე დასწრება და დაემუქრნენ, რომ მომხდარზე საუბარი მძიმე სასჯელს გამოიწვევდა. ქალაქში ჩამოწვა დუმილი, რომელიც წლების განმავლობაში გრძელდებოდა.

პროტესტის შემდეგ რეპრესიები დაიწყო. ასზე მეტი ადამიანი დააკავეს. შვიდი მათგანი სიკვდილით დასაჯეს „მასობრივი არეულობის ორგანიზების“ ბრალდებით. ათეულობით მოქალაქე ხანგრძლივ პატიმრობაში გაუშვეს. სასამართლო პროცესები დახურული იყო, განაჩენები – წინასწარ განსაზღვრული. ნოვოჩერკასკის ტრაგედია საბჭოთა კავშირში სახელმწიფო საიდუმლოდ გამოცხადდა. პრესაში ერთი სიტყვაც არ დაწერილა. სკოლებში, უნივერსიტეტებში, პარტიულ სხდომებზე ეს თემა არ არსებობდა. მხოლოდ 1980-იანი წლების ბოლოს, „პერესტროიკის“ პერიოდში დაიწყო სიმართლის ნელ-ნელა ამოტივტივება.

**დღეს ნოვოჩერკასკის მოვლენები სრულად დადასტურებულია დეკლასიფიცირებული არქივებით, „კაგებეს“ დოკუმენტებით, სასამართლო მასალებითა და გადარჩენილი მოწმეების ჩვენებებით. ეს არის ფაქტი, რომელიც აჩვენებს, რამდენად მყიფე იყო ადამიანის სიცოცხლე სისტემაში, რომელიც საკუთარ თავს „ხალხის სახელით“ მოქმედად აცხადებდა.**

# 1957 წელი, კიშტიმის კატასტროფა



## დღემდე გასაიდუმლოებული ბირთვული ავარია საბჭოთა კავშირში

**1957 წლის 29 სექტემბერს რუსეთში, ჩელიაბინსკ-40-ის სახელით ცნობილ დახურულ ქალაქთან (რადგან ქალაქის სახელს მალავდნენ, მსოფლიოსთვის ეს ტრაგედია „კიშტიმის კატასტროფის“ სახელით გახდა ცნობილი) ახლოს მოხდა ერთ-ერთი ყველაზე მძიმე ბირთვული ავარია. ქალაქი, რომელსაც დღეს ოზიორსკი ჰქვია, საბჭოთა ბირთვული პროგრამის ერთ-ერთ მთავარ ცენტრს წარმოადგენდა. იქ მდებარეობდა ქარხანა „მაიაკი“, სადაც ბირთვული იარაღისთვის პლუტონიუმს ამზადებდნენ და რადიოაქტიურ ნარჩენებს ინახავდნენ.**

ავარია მოხდა არა რეაქტორში, არამედ ბირთვული ნარჩენების საცავში. გაგრილების სისტემის მწყობრიდან გამოსვლის გამო, მაღალი რადიოაქტიური სითხის შემცველი მიწისქვეშა რეზერვუარი გადახურდა, რის შედეგადაც ქიმიური აფეთქება მოხდა, რომელმაც ატმოსფეროში დიდი რაოდენობით რადიოაქტიური ნივთიერებები გამოტყორცნა. აფეთქების სიმძლავრე ასობით ტონა ტროტილის ეკვივალენტი იყო.

რადიოაქტიურმა ღრუბელმა გადაუარა უზარმაზარ ტერიტორიას. დაბინძურდა ასობით კილომეტრის სიგრძის ზონა, სადაც ათეულობით სოფელი მდებარეობდა. სხვადასხვა შეფასებით, დასხივების ქვეშ მოექცა ასიათასობით ადამიანი.

**ყველაზე მძიმე ის გახლდათ, რომ მოსახლეობას არაფერი უთხრეს არც აფეთქებისა და არც რადიოაქტიური საფრთხის შესახებ. ადამიანები აგრძელებდნენ ჩვეულებრივ ცხოვრებას — სვამდნენ დაბინძურებულ წყალს, ამუშავებდნენ მიწას, ძროხებს აძოვებდნენ რადიოაქტიურ მინდვრებზე, ბავშვები თამაშობდნენ მდინარეებში, რომლებიც ბირთვული ნარჩენებით იყო გაჟღენთილი. ევაკუაცია დაიწყო მხოლოდ რამდენიმე დღის, ზოგ შემთხვევაში კი, კვირებისა და თვეების შემდეგ. ისიც ნაწილობრივ და ჩუმად. ზოგიერთ სოფელს, უბრალოდ, რუკიდან შლიდნენ და მოსახლეობას სხვა ადგილებში ახსნა-განმარტების გარეშე ასახლებდნენ.**

დასხივების შედეგები სწრაფად გამოვლინდა. მკვეთრად გაიზარდა კიბოს, ლეიკემიისა და გენეტიკური დაზიანებების შემთხვევები. ექიმებს ავალდებულებდნენ, დიაგნოზებში არ ეხსენებინათ რადიაცია. ოფიციალურ დოკუმენტებში ჩნდებოდა ბუნდოვანი ფორმულირებები — „უცნობი წარმოშობის დაავადება“, „სისხლის სისტემის დარღვევა“, „ზოგადი სისუსტე“ და ა.შ.

**კიშტიმის კატასტროფა სახელმწიფო საიდუმლოდ გამოცხადდა. საბჭოთა კავშირში მასზე საუბარი აკრძალული იყო. არც ადგილობრივ პრესაში, არც სამეცნიერო ჟურნალებში, არც საერთაშორისო ორგანიზაციებთან ეს ინფორმაცია არ ხვდებოდა. დასავლეთმა ავარიის შესახებ ეჭვის გამოთქმა დაიწყო, თუმცა სრული სურათი ათწლეულების განმავლობაში უცნობი რჩებოდა.**

**მხოლოდ 1970-იან წლებში ბიოლოგმა და დისიდენტმა ჟორეს მედვედევმა პირველად გაამხილა კატასტროფის მასშტაბი დასავლურ მედიაში. საბოლოოდ, ავარია ოფიციალურად აღიარეს მხოლოდ საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, როცა არქივების ნაწილი დეკლასიფიცირდა და საერთაშორისო ექსპერტებს ტერიტორიის შესწავლის საშუალება მიეცათ.**

**დღეს კიშტიმის კატასტროფა აღიარებულია, როგორც ერთ-ერთი ყველაზე მძიმე ბირთვული ავარია მსოფლიოში და ჩერნობილამდე მომხდარი ყველაზე სერიოზული შემთხვევა.**

## რა დეტალებია ცნობილი დმანისში მომხდარ მკვლელობაზე?!

**დმანისის მუნიციპალიტეტში, სოფელ ზემო ყარაბულახში ქმარმა ცოლი მოკლა,** – ინფორმაციას ამის შესახებ გამოცემა Aktual.ge ავრცელებს.

გამოცემის ცნობით, შუახნის კაცმა ცოლს ჭრილობები ცივი იარაღით მიაყენა. **„პრაიმტაიმის“** ინფორმაციით, მკვლელობაში ბრალდებული ქმარი დაკავებულია.

როგორც შინაგან საქმეთა სამინისტროს პრესსამსახურში განმარტეს, ფაქტზე გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 11 პრიმა 109-ე მუხლით მიმდინარეობს, რაც დამამძიმებელ გარემოებებში, ოჯახის წევრის განზრახ მკვლელობას გულისხმობს

## უმძიმესი ტრაგედია ხელვაჩაურში: სოფელ აჭარის აღმართში და-ძმის ცხედრები იპოვეს

**ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტში, სოფელ აჭარის აღმართში და-ძმის ცხედრები იპოვეს,** – ინფორმაციას ამის შესახებ „აჭარა თაიმსი“ ავრცელებს.

მათი ცნობით, ცხედრები საცხოვრებელი სახლიდან მოშორებით, საკარმიდამო ნაკვეთში ნახეს. ამ ეტაპზე უცნობია, ჰქონდათ თუ არა გარდაცვლილებს სხეულზე ძალადობის კვალი. შემთხვევა გუშინ მოხდა. მომხდართან დაკავშირებით გამოძიება სსკ-ის 116-ე მუხლით დაიწყო, რაც გაუფრთხილებლობით სიცოცხლის მოსპობას გულისხმობს.

## საქართველოდან გააძევეს უცხო ქვეყნის 87 მოქალაქე!

**შინაგან საქმეთა სამინისტროს მიგრაციის დეპარტამენტის თანამშრომლებმა, სამინისტროს შესაბამის დანაყოფებთან მჭიდრო კოორდინაციით, ბოლო დღეების განმავლობაში უცხო ქვეყნის 87 მოქალაქე საქართველოდან გააძევეს.**

მიგრაციის დეპარტამენტის მიერ ჩატარებული კომპლექსური ღონისძიებების შედეგად ქვეყნიდან გაძევებულ იქნა თურქეთის, ჩინეთის, ინდოეთის, აზერბაიჯანის, ირანის, თურქმენეთის, ეგვიპტის, ნიგერიის, რუსეთის, ყაზახეთის, იორდანიის, ბანგლადეშის, ტაილანდის, ისრაელის, ლიბანის, სამხრეთ აფრიკის, სუდანისა და სირიის, ჯამში, 87 მოქალაქე.

მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, გაძევებულ პირებს ქვეყანაში შემოსვლის აკრძალვა დაუწესდათ.

## ქუთაისში არალეგალურ სასაკლაოს საწარმოო პროცესი შეუჩერეს!

**სურსათის ეროვნულმა სააგენტომ ქუთაისში არალეგალური სასაკლაო გამოავლინა.**

სურსათის ეროვნული სააგენტო ცხოველთა სასაკლაოებზე სახელმწიფო კონტროლს უწყვეტად ახორციელებს. სააგენტოს იმერეთის დეპარტამენტის ინსპექტორებმა სახელმწიფო კონტროლის ფარგლებში, ქუთაისში, შავგულიძის ქუჩაზე არალეგალური სასაკლაო გამოავლინეს. ფიზიკური პირი ვეტერინარული ზედამხედველობის გარეშე კლავდა და თვითნებურად მოწყობილ ობიექტში წვავდა გოჭებს. არაგეგმური ინსპექტირებისას გამოვლინდა კრიტიკული შეუსაბამობები, რის გამოც პირს შეუჩერდა საწარმოო პროცესი და დაჯარიმდა. საეჭვო წარმომავლობის ხორცი დაილუქა და კანონმდებლობის შესაბამისად განადგურდება.

# ჩარგალში საქართველოს ეროვნული გმირის მიხა ხელაშვილის ხსოვნის დღე აღნიშნეს





**ჩარგალში საქართველოს ეროვნული გმირის მიხა ხელაშვილის დაბადებისა და გარდაცვალების დღე აღინიშნა. ინფორმაციას დუშეთის მუნიციპალიტეტის მერია ავრცელებს.**

თარიღთან დაკავშირებით, მიხა ხელაშვილის საფლავზე იმყოფებოდნენ და მის ხსოვნას პატივი მიაგეს დუშეთის მუნიციპალიტეტის მერმა **კახაბერ ჩიტაურმა,** მერის მოადგილეებმა **ბესიკ ბიჩნიგაურმა, თამაზ ფოლოდაშვილმა,** საკრებულოს თავმჯდომარე **ნუკრი უნდილაშვილმა,** მცხეთა-მთიანეთის სახელმწიფო რწმუნებულის მოადგილე **გოჩა ქავთარაძემ,** მხარის დელეგატმა **დიმიტრი ხუნდაძემ** და ხელისუფლების სხვა წარმომადგენლებმა.

**ღონისძიების ფარგლებში შეკრებილმა საზოგადოებამ კიდევ ერთხელ გაიხსენა მიხა ხელაშვილი და მისი შემოქმედება. ეროვნული გმირის ლექსები წაიკითხეს და მის შესახებ ისაუბრეს პოეტებმა, მწერლებმა, საზოგადო მოღვაწეებმა და ახალგაზრდებმა. ანსამბლ „ლაშარელას“ მიერ შესრულდა სიმღერები, ხოლო თავდაცვის სამინისტროს შესაბამისი სამსახურის წარმომადგენლებმა 25-ჯერ სარიტუალოდ გაისროლეს, ასევე გაიმართა სხვა ტრადიციული რიტუალები. მიხა ხელაშვილი სახალხო პოეტი და ქაქუცა ჩოლოყაშვილის „შეფიცულთა რაზმის“ წევრია, მას საქართველოს ეროვნული გმირის წოდება 2022 წლის 9 აპრილს მიანიჭეს.**



# მწერალა შანიძეს ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სამეცნიერო პრემია და ილიას მედალი გადაეცა

„მეცნიერებაში ყოველთვის არის წინ გზა, მაგრამ ეს გზა გასავლელად ყოველთვის ადვილი არ არის“ **– მზექალა შანიძე ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის საპატიო დოქტორი, ქართული მეცნიერების ეპოქალური სახე მზექალა შანიძე, 2026 წლის 23 იანვარს დაჯილდოვდა ილიას უნივერსიტეტის სამეცნიერო პრემიითა და ილიას მედლით“,** – ნათქვამია გავრცელებულ ინფორმაციაში.

# საქართველოს ტურისტულ შესაძლებლობებს ნიუ-იორკის გამოფენაზე გაეცნენ

**საქართველოს ტურიზმის ეროვნულმა ადმინისტრაციამ აშშ-ში უმსხვილეს ტურისტულ გამოფენაში New York Travel & Adventure Show მიიღო მონაწილეობა. ნიუ-იორკის გამოფენაზე ტურიზმის ეროვნულ ადმინისტრაციასთან ერთად წარმოდგენილი იყო ქართული კერძო სექტორი,** – ინფორმაციას ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია ავრცელებს.

გამოფენას ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის ხელმძღვანელი დაესწრო. მაია ომიაძემ შეხვედრები გამართა საერთაშორისო PR და ავიაკომპანიების, პლატფორმებისა და მედია ორგანიზაციების წარმომადგენლებთან ამერიკის ტურისტულ ბაზარზე საქართველოს ცნობადობის გაზრდის მიზნით. New York Travel & Adventure Show-ს ფარგლებში, საქართველოს სტენდთან დამთვალიერებლებსა და უცხოელ ტუროპერატორებს საშუალება ჰქონდათ გასცნობოდნენ საქართველოს ტურისტულ მიმართულებას და ინფორმაცია მიეღოთ ტურისტული პროდუქტებისა და კურორტების შესახებ. სპეციალურად სტუმრებისთვის საქართველოს ტურისტული პოტენციალის შესახებ ვიდეორგოლების ჩვენება და პრეზენტაციები მოეწყო. გამოფენაზე მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნიდან 550-ზე მეტი კომპანია და ორგანიზაცია იყო წარმოდგენილი. New York Travel & Adventure Show-ს 23 ათასზე მეტი ვიზიტორი ეწვია.



# ისანში ოთხი სკვერი განახლდა!

**თბილისის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურის მიერ, ისნის რაიონში, კერძოდ, ვაზისუბანში რეაბილიტირდა N8 კორპუსის მიმდებარედ არსებული სკვერი, ხოლო N7 კორპუსის მიმდებარედ მოეწყო რეკრეაციული ზონა, სადაც, ასევე, უკანონო შემოღობვების დემონტაჟი განხორციელდა.**

მანამდე, ამავე ტერიტორიაზე რეაბილიტაცია ჩაუტარდა შაქარაშვილის სახელობის სკვერს. სრულად განახლდა 90-ე სკოლის მიმდებარედ არსებული მარტიაშვილის სახელობის სკვერიც.

**„დაახლოებით, 3,5 ჰექტარ ტერიტორიაზე განხორციელდა სამუშაოები, რის ფარგლებშიც, მოეწყო საფეხმავლო ბილიკები, საბავშვო და სავარჯიშო მოედნები, ტერიტორია გამწვანდა. მნიშვნელოვანია იმ თვალსაზრისითაც, რომ ირგვლივ უამრავი კორპუსია, ადგილობრივები შეძლებენ განტვირთვას და დასვენებას. სტადიონს ჩაუტარდა რეაბილიტაცია. ზამთრის შემდეგ სრულად დასუფთავდება ტერიტორია“,** – განაცხადა **კახა კალაძემ.**



# რობი უილიამსმა THE BEATLES-ის რეკორდი მოხსნა

**მომღერალმა რობი უილიამსმა ბრიტანულ ჩარტებში პირველ ადგილზე გასული ალბომების რაოდენობით The Beatles-ის რეკორდი მოხსნა. მისი მე-16 ალბომი სახელწოდებით Britpop, რომელიც 16 იანვარს გამოვიდა, რელიზიდან ერთ კვირაში ჰიტ-აღლუმის სათავეში მოექცა.**

The Beatles-ის რეკორდი (ჩარტების ლიდერი 15 ალბომი) 1967 წლიდან, Sgt. Pepper's Lonely Hearts Club Band-ის გამოსვლის შემდეგ ნარჩუნდებოდა.

თავდაპირველად Britpop-ის გამოშვება 2025 წლის ოქტომბერში იგეგმებოდა, თუმცა შემდეგ 2026 წლის თებერვლისთვის გადაიდო მას მერე, რაც ტეილორ სვიფტმა იმავე თვეს The Life of a Showgirl-ის რელიზი დააანონსა. მოგვიანებით უილიამსმა მოულოდნელად თარიღი შეცვალა და ალბომი 16 იანვარს გამოუშვა.



**„ცხოვრებაში რამდენჯერ გეძლევა შესაძლებლობა, გქონდეს იმაზე მეტი პირველადგილოსანი ალბომი, ვიდრე ოდესმე ვინმეს ჰქონია დიდ ბრიტანეთში?“** – განაცხადა მუსიკოსმა.


საქართველოს რესპუბლიკა

გამომცემელი და მთავარი რედაქტორი
**სპარტაკ ქობულია**
(599-36-00-35)

რედაქტორის მოადგილე
**მამუკა ვაშაკიძე**
(597-22-07-04)

შემოქმედებითი ჯგუფი:
**ალეკო ასლანიშვილი, თემურ ქორიძე, ოთარ ტურაბელიძე, გია პლატონიშვილი.**

პიარისა და მარკეტინგის მენეჯერი
**რუსუდან ქობულია**
(577-77-27-17)

ტექნიკური რედაქტორი:
**კახა ქორიძე.**

სტილისტ-კორექტორები:
**ნაირა კეკელია, მაია იორამაშვილი.**

ოპერატორი
**შორენა გვილია.**

გაზეთის განახლებული ლოგოს ავტორი
**გიორგი ნადარეიშვილი.**

**მისამართი:**
თბილისი,
აკაკი წერეთლის N116

**წერილები გამოგზავნეთ ელექტრონულ მისამართზე:**
**sak@sak.ge**



გაზეთი დამოუკიდებელია და ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპით. რედაქციის აზრი, შესაძლოა, არ ემთხვეოდეს ავტორთა მოსაზრებებს.

ფაქტების სიზუსტეზე პასუხისმგებელია ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია. რედაქცია პასუხს არ აგებს სოციალური ქსელიდან და სხვა მედია-საშუალებებიდან გადმოღებულ, ან უცხოური პრესიდან თარგმნილი მასალების, ფაქტების, ინფორმაციის სიზუსტეზე.



იბეჭდება სტამბა
„ფავორიტში“
აბელ ენუქიძის N5

ფავორიტი
სტამბა რომელსაც ენდობი

uac(უაკ)070.4(479.22)
C–323

2 009882 689431



რეკლამისთვის დარეკეთ:
577-77-27-17
rkobulia29@gmail.com
ნებისმიერი თანხა ჩარიცხეთ ანგარიშზე:
GE90BG0000000538329790

მომდევნო ნომერი გამოვა პარასკევს, 30 იანვარს